# საერთო გაზეთი

№11 (692)
ოთხშაბათი
5 აპრილი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.





ქალბატონო პრეზიდენტო, თქვენ არ ხართ ხმა ქართველი ერისა! ნუ ცდილობთ ხალხის მოტყუებას! ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება!




**ერდოღანი: „ამ არჩევნებზე ამერიკას გაკვეთილი უნდა ვასწავლოთ!“**

# იყო პირდაპირი დირექტივა დასავლეთიდან, სალომეს უნდა „დაერტყა“ ხელისუფლებისთვის



## უკრაინას მრცხავანა კატასავით „ჩამოუკიდეს“ რუსეთის სიძულვილი

კიევ-პეჩორის ლავრიდან მართლმადიდებელი ბერ-მონაზვნები და სასულიერო პირები გამოყარეს...

დედამიწაზე ოთხი ადგილია, სადაც უფლის დედის – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განსაკუთრებული მადლი გადმოდის. ეს ადგილებია: ივერია, ათონის მთა, კიევის მღვიმევის მონასტერი და დივეევოს დედათა მონასტერი. ეს კურთხეული ადგილები ერთმანეთთან უხილავი, მტკიცე ჯაჭვითაა დაკავშირებული. კიევ-პეჩორის ლავრა მე-11 საუკუნეში დაარსდა, სადაც უდიდესი სიწმინდეები – წმინდანების უხრწნელი ნეშტები ინახება.

# დასავლეთში არასამთავრობო ორგანიზაციებს პოლიტიკაში ჩართვა კანონით ეკრძალებათ

**გახსოვდეთ, ახალგაზრდებო! ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში ქუდმოხდილი შედიოდა**

**რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...**

**მსოფლიოს საუკეთესო განათლების სისტემები**




# არ იქნება სამართალი ქვეყანაში?! – არ იქნება მშვიდობა!

# ანტიკორუფციული ბიურო ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს კორუფციის პრევენციის ყველა ძირითად ფუნქციას



ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, შემდეგ თავისუფალ ვაჭრობას, მივიღეთ უვიზო რეჟიმი და გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ანტიკორუფციული ბიუროს პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილება იყო.

„დიდი პატივია დღეს ჩემთვის თქვენ წინაშე გამოსვლა. ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ჩვენ მოვისმენთ ბატონი რაჟდენისგან მის ხედვას, პრეზენტაციას, თუ როგორი სამსახური უნდა შეიქმნას.

მანამდე მინდა, ძალიან მოკლედ კიდევ ერთხელ შევახსენო ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს მეგობრებს, თუ რა გზა გაიარა ჩვენმა ქვეყანამ ბოლო 10 წლის განმავლობაში. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, შემდეგ თავისუფალ ვაჭრობას, მივიღეთ უვიზო რეჟიმი და გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილება იყო. ასეთივე ისტორიული გადაწყვეტილება იყო შარშან, 17 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა. ეს არის ხმამაღალი აღიარება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მისწრაფებისა და ამავე დროს, ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისი.

ძვირფასო მეგობრებო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ შარშან გადმოგვეცა 12 რეკომენდაცია, რომელთა შესრულებაც ჩვენმა ხელისუფლებამ დაიწყო მყისიერად. პარლამენტმა გასწია ძალიან დიდი სამუშაო, შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფები და ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთდა და კეთდება იმისთვის, რომ ხელისუფლების მიერ შესასრულებელი ყველა ვალდებულება იყოს შესრულებული პირნათლად.

ამ 12-პუნქტიან გეგმაში მე-4 რეკომენდაცია გულისხმობს ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო.

მინდა აღვნიშნო, რომ ბიურო გამოირჩევა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, რაც ასევე მოიცავს ფინანსურ დამოუკიდებლობასაც. იგი პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე, რაც გულისხმობს მათ წინაშე ყოველწლიურ ანგარიშგებას.

ბიუროს უფროსის კანდიდატები შეირჩა დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელიც აერთიანებდა სახელმწიფო უწყებათა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. სწორედ ამ კომისიის მიერ შემოთავაზებული კანდიდატების სიიდან დაინიშნა ბიუროს უფროსი, ბატონი რაჟდენ კუპრაშვილი. მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ და გისურვოთ წარმატებები.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ბიურო ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანების კორუფციის პრევენციის ყველა ძირითად ფუნქციას. მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ძლიერი კოორდინაციით ანტიკორუფციული პოლიტიკის განსაზღვრა. ბიუროს გააჩნია ანტიკორუფიცული პოლიტიკის დოკუმენტების შესრულებაზე ზედამხედველობისა და სათანადო რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილება. ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციები იქნება ჩვენი ქვეყნის ძლიერი ანტიკორუფციული პოლიტიკის განმსაზღვრელი მექანიზმი“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ისაუბრა ხელისუფლების მიღწევებზე ბოლო 10 წლის განმავლობაში.

„რაც შეეხება იმ მიღწევებს, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ მოიტანა ბოლო 10 წლის განმავლობაში ანტიკორუფციული მუშაობის მიმართულებით და ამ პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით, სულ რამდენიმე ფაქტს შეგახსენებთ:

კორუფციის აღქმის ინდექსის 2022 წლის კვლევით, საქართველო 180 ქვეყნიდან 41-ე ადგილს იკავებს. კიდევ ერთი ფაქტი მინდა მოვიყვანო - თრაცე „**Bribery Risk Matrix 2022**“-ის თანახმად, საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულშია, ხოლო გლობალურ რეიტინგში 194 ქვეყნიდან 33-ე ადგილზეა. აქვე შეგახსენებთ, რომ გლობალური სამართლიანობის პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზეა, ისევე როგორც ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში არის პირველ ადგილზე 120 ქვეყანას შორის. „კორუფციის კონტროლის“ მიხედვით, ძვირფასო მეგობრებო, საქართველო მსოფლიო ბანკის წევრ 189 ქვეყანას შორის კიდევ 5 ადგილით დაწინაურდა და ევროპაში 21-ე, ხოლო კონტინენტური ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-18 ადგილზე ვართ.

ამ მონაცემებს თუ 2012 წლამდე პერიოდს შევადარებთ, პროგრესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, - იმ დროისათვის საქართველო მსოფლიოში 62-ე ადგილზე იყო, ბუნებრივია, ძალიან შორს ევროპის საუკეთესო ოცეულისგან.

დღეს კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ 11 სახელმწიფოს და ნატოს წევრ 13 ქვეყანას. საქართველო პირველ ადგილზეა კავკასიასა და შავიზღვისპირეთში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებია ჩვენზე წინ, ჯერჯერობით. ეს პროგრესი, რა თქმა უნდა, თანამიმდევრულია. კორუფციის კონტროლის მხრივ, საქართველომ შეფასების ქულა გაიუმჯობესა და ჩვენ ეს მიღწევები გვაძლევს დამატებით მოტივაციას, რომ კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც კორუფცია ძლიერი, განვითარებული ქვეყნებისთვისაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, ჩვენ გვჭირდება კოორდინირებული, თანამიმდევრული მუშაობა, ისეთი სახელმწიფოს მშენებლობა, სადაც კორუფცია ვერ იქნება ხელშემშლელი ფაქტორი ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებისთვის. ამიერიდან, ამ მიმართულებით მუშაობის პასუხისმგებლობის უდიდესი წილი დაეკისრა ანტიკორუფციულ ბიუროს. მჯერა, რომ ბიუროს ახალი უფროსი და მისი ყველა თანამშრომელი ძალისხმევას არ დაიშურებენ, რომ კიდევ უფრო მეტ პროგრესს მიაღწიოს ჩვენმა ქვეყანამ ამ მიმართულებით. კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ და გისურვებთ წარმატებებს. დიდი მადლობა“, - აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა რაჟდენ კუპრაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების და ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

# ირაკლი ღარიბაშვილი: უმნიშვნელოვანესია საზოგადოების როლი და აქტიური ჩართულობა აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების საქმეში

სახელმწიფოს ვალია, უზრუნველყოს თითოეული მოქალაქისათვის განვითარების თანაბარი პირობები და გაზარდოს წვდომა იმ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისათვის, ვისაც სწორედ სახელმწიფოსგან სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფეისბუქზე წერს.

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, უმნიშვნელოვანესია საზოგადოების როლი და აქტიური ჩართულობა აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების საქმეში, რაც ბოლო დროს სულ უფრო შესამჩნევი ხდება.

„დღეს მთელი ცივილიზებული სამყარო აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღეს აღნიშნავს.

სახელმწიფოს ვალია, უზრუნველყოს თითოეული მოქალაქისათვის განვითარების თანაბარი პირობები და გაზარდოს წვდომა იმ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისათვის, ვისაც სწორედ სახელმწიფოსგან სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება. ამასთან, უმნიშვნელოვანესია საზოგადოების როლი და აქტიური ჩართულობა აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების საქმეში, რაც ბოლო დროს სულ უფრო შესამჩნევი ხდება.

ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობის, განათლებისა თუ დასაქმების უფლებების დაცვაზე და ერთად შევქმნათ ყველასათვის უკეთესი გარემო”, - აღნიშნა პრემიერმა.




# „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ პროგრამაში დამატებით 300 ბავშვი და მოზარდი ჩაერთო

ამ დღეებში თბილისში „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ პროგრამაში ჩართულ პირთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

ღონისძიებას ფარგლებში რეაბილიტაციის ცენტრ „ფაზლს“ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი და თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე ეწვივნენ.

თბილისის მერიის პროგრამაში მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში კიდევ 300 ბავშვი და მოზარდი ჩაერთო. რეაბილიტაციის ცენტრ „ფაზლში“ კი სეანსებს დამატებით 80 ბავშვი და მოზარდი მიიღებს. დღეიდან მერიის პროგრამით საჭირო სეანსები უკვე 1 850 ბენეფიციარს უფინანსდება. პროგრამის ბიუჯეტი 7 383 000 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მერიამ აპრილიდან პროგრამის ვაუჩერის ღირებულებაც გაზარდა და ერთი ბავშვის და მოზარდის ყოველთვიური დაფინანსება 400 ლარის ნაცვლად, 450 ლარი გახდა.

პროგრამას სერვისის მიმწოდებელი ცხრა დაწესებულება ემსახურება და მოსარგებლე პირები საჭირო სეანსებს უწყვეტ რეჟიმში იღებენ.



# გახსოვდეთ, ახალგაზრდებო! ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში ქუდმოხდილი შედიოდა



*გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ:*

**— ბატონო გიორგი, 90-იანი წლების მერე საბჭოთა სწავლებიდან ახალ ეტაპზე გადავინაცვლეთ. რა მისცა სკოლას იმ დაუსრულებელმა რეფორმებმა, რაც ლომაიას მინისტრობიდან მოყოლებული, დღემდე გრძელდება?**

— ცნობილმა ლიტერატორმა ლევან ბრეგაძემ ამასწინათ დაწერა: კაცი დავბერდი და ისეთ ხელისუფლებას ვერ მოვესწარი, რომელიც განათლებას პრიორიტეტად მიიჩნევსო. ამ სფეროზე ბევრს ვსაუბრობთ, თუმცა ძალიან ცოტას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა უკეთესი განათლება მიიღონ. მე ქართული ენის სპეციალისტი ვარ და მოდი, ამ გადმოსახედიდან შევხედოთ, როგორია რეალობა, რა ხდება ამ კუთხით სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. დიდი ბრძოლა დაგვჭირდა, რათა სკოლაში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა" დაბრუნებულიყო. საბედნიეროდ, ეს შევძელით, მაგრამ ამას ათეული წლები დასჭირდა. ფაქტობრივად, „დედა ენა" გასული საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ, იაკობ გოგებაშვილის უშუალო ავტორობით აღარ გამოსულა. რიგი მსურველები თუ პედაგოგები გოგობაშვილის „დედა ენას" სურვილისამებრ, იაკობისეული პრინციპების გაუთვალისწინებლად ადგენდნენ. ამ საუკუნის დასაწყისში კი კანონი შეიცვალა და გოგებაშვილის „დედა ენა" სკოლებში დაბრუნდა, რაც დადებითი მოვლენა და ბოლო ათწლეულის მნიშვნელოვანი მიღწევაა. თუმცა, სხვა მხრივ მდგომარეობა სავალალოა. კონკრეტულ ფაქტს დაგისახელებთ: ბოლო ათწლეულებში ტარდება კვლევები: როგორ ფლობენ ჩვენი ახალგაზრდები ქართულ ენას, იციან თუ არა წერა-კითხვა და ა.შ. კოტე ჯანდიერმა მითხრა: 15 წლის წინათ 150 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგებს გავეცანი, სადაც გამოიკვეთა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის განათლების დონე ძალიან დაბალი იყო. ანუ, 150 ქვეყნიდან ბოლო ათეულში ვიყავით, რაც საგანგაშოა. ჩვენთან ერთად ბოლო ათეულში ისეთი ქვეყნები მოხვდნენ, რომელთა სახელებიც კი არ გამიგიაო. ათი წლის შემდეგ, საერთაშორისო კვლევის შედეგებით კვლავ დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ წერა-კითხვის ცოდნის თვალსაზრისით, დადებითი შედეგი კვლავ არ გვაქვს, ანუ არაფერი შეცვლილა, ისევ ბოლო ათეულში დავრჩით, ერთი ნაბიჯი წინ ვერ გადავდგით.

„რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტმა" პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებსა და ფაკულტეტებზე პირველკურსელებში გამოკითხვა ჩავატარეთ. აღნიშნული კვლევა ოქტომბერში ჩატარდა, ანუ იმ პერიოდში, როცა ეროვნული გამოცდები სტუდენტებს ორი თვით ადრე ჰქონდათ ჩაბარებული. გვაინტერესებდა მათი ცოდნის დონე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მაგალითად, უნდა გამოეცნოთ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა რომელ ბრუნვასა თუ რიცხვში იყო. კატასტროფული შედეგები მივიღეთ. სტუდენტებმა, რომელთაც ორი თვით ადრე ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულები მიიღეს და პრესტიჟულ ფაკულტეტებზე მოხვდნენ, ვერ ამოიცნეს,



## დღეს უნივერსიტეტი გოგებაშვილის ორივე პრინციპს: ზნეობასა და ეროვნულობას ღალატობს

რომელ ბრუნვაში იყო ჩვენ მიერ მოხაზული სიტყვა! ეს კატასტროფაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გამოცდები ტარდება ძალიან დაბალ დონეზე.

რაც შეეხება ლიტერატურას, აქაც საგანგაშო შედეგებია. საკმაოდ მარტივი შეკითხვები დავსვით. ჩემს დროს ახალგაზრდებისთვის ასეთი კითხვები რომ დაესვათ, შეურაცხყოფა იქნებოდა. მაგალითად, რომელ საუკუნეში დაიწერა პოემა „აჩრდილი". ორასი სტუდენტიდან ნახევარზე მეტმა, კითხვას სწორად ვერ უპასუხა. ასევე, ვერ დაასრულეს ფრაზა: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო!.." აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სტუდენტებმა ნაწარმოებების შინაარსი არ იციან, თუნდაც „ვეფხისტყაოსნის". მაგალითად, დავსვით კითხვა: რომელი ქვეყნიდან არიან როსტევანი, ტარიელი, ავთანდილი... პასუხები გამაოგნებელი იყო. ასევე, სტუდენტებს ვკითხეთ: სად ხდება მოქმედება „ალუდა ქეთელაურში", „სტუმარ-მასპინძელში", „ბახტრიონში" და ა.შ. აქაც პასუხები შემაშფოთებელია. სამწუხაროდ, ეს სკოლის პრობლემაც არის, ეროვნული გამოცდებისაც და უმაღლესი სასწავლებლებისაც. ვერ ვიტყვი, რომ ეროვნულ გამოცდებზე შეფასება არაობიექტურად ხდება, მაგრამ პრობლემა საგამოცდო კრიტერიუმებშია. ეროვნულ გამოცდებზე ისეთი მოთხოვნებია, რომ ბავშვმა შეიძლება საერთოდ არ წაიკითხოს შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და უმაღლესი შეფასება მაინც მიიღოს. არადა, ეროვნული გამოცდების პროგრამებით, ამ ყველაფრის ცოდნა, წესით, მოეთხოვებათ. გამოცდაზე არჩევანის საშუალებაა — აძლევენ როგორც საპროგრამო, ისე არაპროგრამულ ნაწარმოებს, უცნობი ტექსტის ანალიზს და ა.შ. საქმე ისაა, რომ ეროვნული გამოცდების მოთხოვნებით ბავშვს სულაც არ სჭირდება ვაჟას და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებების წაკითხვა და შედეგიც კატასტროფულია.

თქვენ შეკითხვაში ლომაიას რეფორმებიახსენეთ. სააკაშვილის ხელისუფლებამ მოსვლისთანავე, 2004 წლიდან, განათლების სისტემაში რეფორმების გატარება დაიწყო. მახსენდება განათლების მინისტრის, ლომაიასა და პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის, ლევან ბერძენიშვილის ერთობლივი ბრიფინგები, სადაც მათ საზოგადოებას მეხუთეკლასელებზე ჩატარებული კვლევის შედეგები წარუდგინეს. აღმოჩნდა, რომ ნახევარმა წერა-კითხვა არ იცოდა. ამ ბრიფინგს მეც ვესწრებოდი. ვიკითხე: როგორ გადავიდა წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვი მეხუთე კლასში?! — პასუხი ვერ მივიღე. ვინ არის დამნაშავე — ბავშვი, სკოლა, მასწავლებელი, სისტემა თუ... მაშინდელ ხელისუფლებას აწყობდა იმის აფიშირება, რომ ჩვენთან განათლების დონე ძალიან დაბალია.

**— ეს რისთვის სჭირდებოდათ?**

— მათ მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინათ, რომ საქართველოში განათლების, მეცნიერების, კულტურის დონე დაბალია ისევე, როგორც ეკონომიკა. რაც იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანა განვითარებადია. თუ განათლების, მეცნიერების და ა.შ დონე მაღალი იქნებოდა, მაშინ საქართველო განვითარებად ქვეყნად არ ჩაითვლებოდა და გრანტებსა და დახმარებებსაც ვეღარ მიიღებდნენ!!! აღარაფერს ვიტყვი საუნივერსიტეტო რეფორმაზე, რომელიც სააკაშვილი-ლომაიას ხელისუფლებამ ჩაატარა. იგივე განხორციელდა მეცნიერების სფეროშიც. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ეს ქართული სახელმწიფოს, განათლებისა და მეცნიერების წინააღმდეგ მიზანმიმართული მტრობაა. სამწუხაროდ, ბევრი საკითხი დღესაც მოუგვარებელია. საქმე ისაა, რომ ლომაიასდროინდელი „რეფორმატორები" ისევ იმ თანამდებობებს იკავებენ და მაშინდელ რეფორმებს დღესაც კბილებით იცავენ. სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში და განათლების სამინისტროშიც ბევრი პრობლემა დაგროვდა. 2005 წელს უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა სპეციალობებზე, ქართული ენის სავალდებულო სწავლება შეწყდა. დღემდე ეს საკითხი დადებითად ვერ გადავჭერით. არ გეგონოთ, რომ სიტუაციას ვამუქებ. კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, 2015 წელს სახელმწიფო ენის კანონი მივიღეთ. თუმცა, სამწუხაროდ, მისი არცერთი პუნქტი არ სრულდება. სახელმწიფომ ქართული ენის სწავლება სათანადო დონეზე უნდა უზრუნველყოს. 2017 წელს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი შეიქმნა, რომელსაც სახელმწიფო ენის პროგრამა უნდა შეემუშავებინა, რაც დღემდე არ მომხდარა, ანუ კანონი ირღვევა.

2022 წელს მთავრობამ სახელმწიფო ენის სტრატეგია დაამტკიცა. ამ დოკუმენტში ჩაიწერა, რომ განათლების დონე კატასტროფულია, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულა. ყველა ვაღიარებთ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ სახელმწიფო ენა ძალიან ცუდად იცის, მაგრამ ამის გამოსასწორებლად არაფერს ვაკეთებთ. კანონის შესრულებაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლებაა, ხოლო კონტროლს საკანონმდებლო ორგანო უნდა უწევდეს.

**— ბატონო გიორგი, რადგან ენაზე ვსაუბრობთ, გკითხავთ: ცნობილი ქართველი რეჟისორის ქალიშვილმა ერთ-ერთ გადაცემაში თქვა, რომ მსოფლიო მალე ერთ ენაზე ილაპარაკებსო...**

— ეს მხოლოდ მისი აზრი როდია. ზემოთ ლომაია და მისი რეფორმა ვახსენეთ. მისი „რეფორმის" წყალობით, თავის დროზე უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება გააუარესა, სკოლებში პირველი კლასიდან ინგლისურის სწავლება შემოიღეს, ხოლო ქართული ენის საათები გააუქმეს, რაც მეცნიერულად ამის ხარჯზე შეამცირეს. მაშინ ასევე, გაუქმდა სახელმწიფო ენის პალატაც. მეტიც, ტელევიზიებში ყველა გადაცემა, რაც კი ენის სწავლებას ეხებოდა, დაიხურა. ამ საკითხზე განათლების სამინისტროში შეხვედრა შედგა, რომელსაც ლომაია, მისი მოადგილეები და მრჩევლები ესწრებოდნენ. ერთ-ერთმა მრჩეველმა, წამყვანმა რეფორმატორმა გიგი თევზაძემ თქვა: საქართველოში სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა იყოსო. ეს გავაპროტესტეთ და განათლების კანონიდან ეს პუნქტი ამოიღეს. ამაზე საუბარი შეჩერდა. ამიტომაც მივიღეთ კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ", რის შესრულებასაც ვითხოვთ. თუ ეს კანონი შესრულდება, მაშინ ერთი ან ორი რეჟისორის ქალიშვილის ნათქვამი ქართულ ენას ვერაფერს დააკლებს. იმის წარმოდგენაც კი დაუშვებელია, რომ სახელმწიფო ენა ინგლისური იყოს. **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲜᲐᲨᲘ ᲕᲚᲘᲜᲓᲔᲑᲐ.** მუხრან მაჭავარიანი ებრაელებს ასე ახასიათებს: როცა ისინი მსოფლიოში გაიფანტნენ, მათ ენა დაკარგეს, მაგრამ ებრაელობა შეინარჩუნეს და მერე ენაც აღადგინეს. ანუ, ბევრ ებრაელს ნახავ, რომელმაც ენა არ იცის, მაგრამ ებრაელია; ვერ ნახავ ვერცერთ ქართველს, რომელმაც არ იცის ქართული და ქართველია. დიახ, ჩვენი იდენტობის, ქართველობის უპირველესი ნიშანი სწორედ ენაა. ილია ტყუილად როდი ამბობდა: მამული, ენა, სარწმუნოება. ეს უნდა შევინარჩუნოთ. სახელმწიფომ სახელმწიფო ენის კანონის ამოქმედებაზე უნდა იზრუნოს. თორემ, გამოვა, რომ სახელმწიფო ენას კანონი აქვს, თუმცა პატრონი არ ჰყავს.

სააკაშვილის მმართველობიდან მოყოლებული, დღემდე განათლების რამდენიმე მინისტრი გამოვიცვალეთ. ხელისუფლება შეიცვალა, თუმცა სტრუქტურებ-

13 გვ. →

# რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N9-10)

პრემიერის ნათქვამს სასწრაფოდ გამოეხმაურა „ფრანკლინის კლუბი“ (ამონარიდი): „ბოლო პერიოდში, „ფრანკლინის კლუბი“ გახდა ხელისუფლებისა და სახელისუფლებო მედიების უპრეცედენტო, ცილისმწამებლური პროპაგანდისტული კამპანიის სამიზნე. კლუბის წინააღმდეგ აგრესია და უსაფუძვლო ბრალდებები გააჟღერა პირადად პრემიერმა, მმართველი პარტიის თავმჯდომარემ და სხვა გავლენიანმა პირებმა. „ფრანკლინის კლუბმა“ მიიღო რთული, მაგრამ არსებულ მდგომარეობაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — შეწყვიტოს თანამშრომლობა საქართველოს უნივერსიტეტთან. ხაზს ვუსვამთ, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა არასოდეს ჩარეულა „ფრანკლინის კლუბის“, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის მართვასა თუ საქმიანობის შინაარსში.“

სიმართლე გითხრათ, არაფერი მსმენოდა „ფრანკლინის კლუბზე“ და დავინტერესდი, რას ამბობდნენ საკუთარ თავზე. როგორც მითითებული აქვთ, აღნიშნული კლუბი არის არაკომერციული ორგანიზაცია. არაფორმალური განათლების სივრცე „ფრანკლინის კლუბის“ მიზანია კლასიკური ლიბერალური/ლიბერტარიანული ღირებულებების გავრცელება. კლუბი ღიაა სხვადასხვა ტიპის ინიციატივებისთვის, რაც გააძლიერებს კლასიკურ ლიბერალურ საზოგადოებას.

ირაკლი კობახიძე კი ამბობს, რომ „ფრანკლინის კლუბი“ არის უცხოური გავლენის აგენტი, რომელიც ასეულობით ათასი ლარით ფინანსდება და მისი მხარდამჭერია ამერიკული ორგანიზაცია „ატლას ნეთვორქი“, რომელიც წარსულში არაძალობრივი და ძალადობრივი პროტესტების ორგანიზატორი იყო არაერთ ქვეყანაში; რომ, სტუდენტების მობილიზება ხდება ორი უნივერსიტეტის ბაზაზე, ეს არის: თავის დროზე ერთ ლარად მითვისებული კახა ბენდუქიძის „თავისუფალი უნივერსიტეტი“ და ასევე, ერთ ლარად მითვისებული, გიული ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტი“; რომ, „ფრანკლინის კლუბში“ ლიბერალური ფაშიზმის იდეოლოგიას ნერგავენ და ტრენინგებს ატარებენ ოპოზიციის ექსტრემისტი ლიდერები (ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი მელაძე და სხვა), რომლებიც ახალგაზრდებს დაუფარავად ესაუბრებიან რევოლუციურ გეგმებზე.

„ფრანკლინის კლუბი“ ამაყობს: რომ უკვე 2500-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს; რომ რუსული პროპაგანდა ვერ აღწევს მათ სივრცეში და ესაა იმის მიზეზი, რომ ხელისუფლებამ ამოიჩემა; რომ ფრანკლინი იგივეს აკეთებდა, რასაც ილია; რომ იქ არის ვაჟასა და ილიას ღირებულებები; ჩვენ პატრიოტიზმს ვასწავლითო...

როგორც მათი კლუბის ფბგვერდიდან ჩანს, „ფრანკლინის კლუბი“ მნიშვნელოვან და დასაფასებელ ამბად მიიჩნევს, თუ თებერვლის დაჯილდოვების დღეს, ფრანკლინის აკადემიაში ახალგაზრდებთან სასაუბროდ მიშა მშვილდაძე, ზაზა ბიბილაშვილი და სხვა „განთქმულები და ცნობილები“ ესტუმრნენ „ნაციონალური მოძრაობიდან“...

ამ ერთი წინადადების წაკითხვისთანავე (მეტი არც არაფერი ეწერა 28 თებერვალს დაწერილ „პოსტზე“) საბოლოოდ დაეცა მათი „ლამაზი ღაღადი“ პირქვე: „არა თავისუფლების, ცოდნის, მომავლის კონტროლს! მოაწერე ხელი პეტიციას!“ — საუბარია ე.წ. რუსული კანონის მიუღებლობაზე.

ერიჰაააა!...

უკვე ეჭვშეუვალი გახდა პრემიერისა და ირაკლი კობახიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციები!

ამ კლუბისა და მრავალი სხვა, მავნე და ცრუსაგანმანათლებლო ე.წ. უნივერსიტეტების შექმნა იმის მაჩვენებელია, რომ ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს ხარისხიანი ცოდნის მიღების სურვილი აქვთ. მაგრამ როდესაც შენ, სახელმწიფო ვერ აძლევ მოზარდებსა და ახალგაზრდებს უხარისხო ცოდნასაც კი, ყოველთვის „დაეპატრონებიან უპატრონო ეკლესიას ეშმაკები“...

ამ ამონარიდის გამხმოვანებელი „ენათმეცნიერი“ ყმაწვილი ვინ არის, არ მაინტერესებს, მაგრამ ეს ის მომენტია, როცა ენა ჩაგივარდება და ვეღარ მოატრიალებ, უძლური ხარ, რადგან ნათლად ხედავ მოპასუხის ტვინის ორივე ნახევარსფეროს მიმართულებას.

ყმაწვილი „ენათმეცნიერი“ „ფრანკლინის კლუბიდან“: „როდესმე დაფიქრებულხართ იმაზე, რომ დედამიწაზე ამჟამად 200-მდე ქვეყანაა, 7000-ზე მეტი ენაა და როგორ აღმოჩნდა, რომ დამწერლობა მხოლოდ 14-ს აქვს?

საქმე იმაშია, რომ 14 დამწერლობას, 14 ანბანს, ვერ იპოვნით ვერცერთ სამეცნიერო ნაშრომში. იგივე ცნობილი ქართველი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა — როცა წერენ ქართულ ანბანზე, ქართულ დამწერლობაზე, არსად არ ახსენებენ დანარჩენ 13-ს! მეტიც, თუ თქვენ „გუგლის“ საძიებელ ველში ჩაწერთ: „რამდენი ანბანია დედამიწაზე“, ოღონდ, ამას არა ქართულად, არამედ, ნებისმიერ სხვა ენაზე, „გუგლი“ გეტყვით, რომ ამჟამად, დედამიწაზე არის 294 დამწერლობის სისტემა — არა 14, არამედ 294.

14 ანბანი, 14 დამწერლობა — ეს არის, უბრალოდ, ლამაზი მითი, რომლითაც ვატყუებთ მომავალ თაობებს. ქართული განათლების სისტემა სავსეა მსგავსი ტყუილებითა და ურა-პატრიოტული მითებით.

ჩემი აზრით, საჭიროა, აუცილებლად გვიყვარდეს ჩვენი ანბანი, მაგრამ ამავე დროს, თავი არ უნდა მოვატყუებინოთ შელამაზებული მითებით და თვალი გავუსწოროთ რეალობას; ყველაფერზე ვიფიქროთ კრიტიკულად და ამის ფონზე მივიღოთ ობიექტური, ნამდვილი, ჭეშმარიტი ცოდნა.“

მხოლოდ ერთი კითხვა რომ შევუბრუნოთ, ვფიქრობ, საკმარისია: „294 დამწერლობის სისტემა“, მაშასადამე, მსოფლიოში 294 ანბანია?



როგორც გიული ალასანიას „გოდებიდან“ გავიგე, აღნიშნული კლუბი გასულა მისი უნივერსიტეტიდან, მაგრამ განა რაიმე მნიშვნელობა აქვს, რომელი შენობის კედლებში იქნება ის?

ახალგაზრდების ერთ ჯგუფზე ხუნვეიბინები ახსენდება ხალხს, რომლებიც, ძირითადად, ქალაქებში იყვნენ მობილიზებულები და ანადგურებდნენ ოთხ სიძველეს: ძველ კულტურას, ძველ იდეოლოგიას, ძველ ჩვეულებებს და ძველ ტრადიციებს. ხუნვეიბინები შენობებსა და ქუჩებს ახალ სახელებს ანიჭებდნენ, ანადგურებდნენ კულტურულ ძეგლებს, ფიზიკურად ძალადობდნენ და ხშირად კლავდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც მაოს იდეებს ეწინააღმდეგებოდნენ. მთავარ იდეას წარმოადგენდა ჩინეთის ისტორიის იმგვარად გადაწერა, რომ ყველაფრის ცენტრში მაო ყოფილიყო — მართლაც ხომ არაფერი გეცნობათ?



გაიზრდებიან ქართველი ხუნვეიბინები და ისეთი ზომბი პროფესორ-მასწავლებლები გახდებიან, რომლებზეც უკვე ვთქვით ორიოდე სიტყვა და კიდევ უფრო უარესები, მოფაშისტოები, ისეთები, როგორიც მიხეილ ყაველაშვილის შვილის მასწავლებელი აღმოჩნდა. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეზეა საუბარი, რომელიც მასწავლებელმა მონიშნა როგორც „მოღალატის შვილი“ და საბრალო ბავშვს გული წაუვიდა, ეს რომ ნახა...

ბატონი მერაბ ჯიბლაძე სასოწარკვეთილი მეუბნებოდა: „ამდენი ხანია, მოზარდებთან მაქვს ურთიერთობა და, მგონი, ჩავწვდი „განათლების რეფორმის“ არსს. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ ამერიკელთა ბრძანებებით მოქმედებს, ახლა კი „ნატო“-ს პირდაპირი დიქტატის დრო დადგა. „ნატო“-ს საჭიროებისთვის ჩატარდა სასკოლო განათლების დამანგრეველი რეფორმა — სწავლის ხანგრძლივობა გაიზარდა 12 წლამდე, როდესაც სასწავლო პროგრამები ნორმალური მე-7 კლასის განათლების დონეს არ აღემატებაო“. დაბნეულობა რომ შემატყო, თემა გამიშალა: „იმიტომ, რომ ჯარისკაცი უკეთ გაივლის სამსახურს, თუ მას აზროვნების უნარი დაქვეითებული აქვს. მთავარია, რომ მას ბრძანების მოსმენისა და მისი უსიტყვოდ შესრულების უნარ-ჩვევები ჰქონდეს. სწორედ ასეთი ჯარისკაცები არიან მათთვის „სანდო პატრიოტები“. ეს ის პატრიოტები იყვნენ, საკუთარ ხალხს 7 ნოემბერი რომ მოუწყვეს — ხელკეტები და გაზი პენსიონერებსაც კი გვერგო.... ქართული სკოლა სწორედ ასეთი ჯარისკაცების სამჭედლოა და მოსპეს კიდეც „საშუალო სკოლა“ და მას „საჯარო სკოლა“ უწოდეს... ანალოგიური ჯარი შექმნა „ნატო“-მ თურქეთში. მუსლიმანურ სამყაროში ეს ერთადერთი ჯარია, რომელიც ბრძანებაზე საკუთარ ხალხსაც კი ესვრის.

პრაქტიკულად, გაუნათლებელი ახალგაზრდა 18 წლის ასაკში ამთავრებს „საჯარო სკოლას“ არაფრისმაქნისი ატესტატით, რომელსაც საზღვარგარეთის არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ცნობს უბადრუკი სასწავლო პროგრამების გამო. შემდეგ, ეს ახალგაზრდა უნდა მოხვდეს ქართულ სუროგატ „უმაღლეს სასწავლებელში“ უბადრუკი „ეროვნული გამოცდებით“, ან პირდაპირ ჯარისკაცად განმწესდეს — ამ სასწავლებლების დიპლომსაც არ ცნობს საზღვაგარეთის არცერთი ქვეყანა. თუ ამ ახალგაზრდას „ნატო“ 500-დოლარიან სამსახურს შესთავაზებს, სიამოვნებით აიღებს ხელში იარაღს და მსოფლიოს ნებისმიერ ცხელ წერტილშიც წავა და თუ ბრძანება გაიცა, საკუთარსაც არ დაინდობს“...



ენის მოჩლექის, მოფერებისა და დაყვავების დრო ჩავლილია. ახლა ის დროა, სისტემის შეკეთებაზე რომ უნდა ზრუნავდეს ყველა, თორემ თუ მოკვდა, მოკლულს აღარაფერი ეშველება. ვერ გადარჩება ვერაფერი და ვერავინ, თუ დროზე არ შეარყიე, ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ყველას და ყველაფერს ის სახელი დაერქმევა, რაც რეალურად არის!

**ნინო დაუშვილი**

(გაგრძელება იქნება)

# გაგტყუებენ, მაკარ!



„თქვენ ცრუ იმედები ჩაგინერგეს, ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებს თქვენთან ცხოვრების საუკეთესო პირობების შექმნას. ჩვენ მხოლოდ იმისთვის გვჭირდებით, რომ ჩვენს გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რუსეთს, მის საზღვართან ცეცხლის რკალი შემოვავლოთ უკრაინიდან ყაზახეთამდე და ძალიან დავასუსტოთ. ამერიკული გეგმით, ამაში თქვენც უნდა მიიღოთ მონაწილეობა.

ჩვენ ყოველთვის გიყურებთ, როგორც ჯუნგლებს, ხოლო ჩვენ ბაღი ვართ. თქვენ ამ ბაღში ადგილი არ გაქვთ, ყოველთვის ღობის მიღმა დაგტოვებთ, რომ მგლებმა შეგჭამონ.

ჩვენ თქვენ არ მოგვწონხართ და არც არაფერი ვიცით თქვენზე გარდა ერთი-ორი სიტყვისა: ხინკალი, ხაჭაპური და ქართული ცეკვა.

ჩვენ არ გვაინტერესებს საქართველო და ქართველი ერი.

არც არასოდეს შეგიყვანთ ნატო-სა და ევროკავშირში.

ან რად გინდათ იმ ევროკავშირში შესვლა, რომელიც დიდ კრიზისში შედის?

თუ ფული გინდათ, ახლა ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები მეორე ადგილზე გადავიდნენ და დაღმავალი ეკონომიკა აქვთ, ხოლო პირველი დონის და მზარდი ეკონომიკური კავშირი უკვე გახდა „ბრიქსი.“

არასოდეს იომებს ამერიკა თქვენ გამო.

ამერიკელები არ აპირებენ, რომ თავიანთი შვილები გამოუშვან, რათა საქართველოსთვის მოკვდნენ.

ჩვენ არ ვიცით, ვინ ხართ!

სულ მცირე ხნის წინათ, ჩვენ თქვენს ქალაქებზე ატომური ბომბები გვქონდა დამიზნებული თურქეთიდან, კერძოდ: თბილისზე, ფოთზე, ბიჭვინთაზე, ქუთაისსა და ბათუმზე და თქვენს ანიჰილაციას (მოსპობა, გაქრობა) ვაპირებდით.

ის „ვოუქი დემონები“, რომლებიც ცოტა ხნით ადრე შეკრებილები იყვნენ რუსთაველის პროსპექტზე გამართულ აქციაზე (იგულისხმება გასული წელი), თქვენ განადგურებისკენ მიგაქანებენ. რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, ეს აღარ იქნება 2008 წლის კონფლიქტის მსგავსი (კონფლიქტი!), როცა რუსები შეჩერდნენ და დაგინდეს. ამ კონფლიქტს ქართველი ერის განადგურება მოჰყვება. ისეთი მეზობელი კი, როგორიც თურქეთია, არ ჩაუგდებს ხელში რუსეთს მთელ საქართველოს. როცა დაინახავენ, რომ რუსები გიპყრობენ თქვენ, ისინი თავიანთ წილს მოითხოვენ და მინიმუმ, აჭარას დაიკავებენ.

თქვენ თუ ამ გზით გააგრძელეთ სიარული, როგორც ერი, არსებობას შეწყვეტთ!“ — უილიამ სკოტ რიტერი, ამერიკელი ექსპერტი და აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის დაზვერვის ყოფილი ოფიცერი, გაერო-ს შეიარაღების კომიტეტის ყოფილი ინსპექტორი, საქართველოს სიძე, რომლის მეუღლეც აფხაზეთიდანაა.

მანვე თქვა, რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ს „მეორე ფრონტის“ გახსნა სურს საქართველოშიო და დასძინა, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით, საქართველოში ყოველწლიურად 40 მლნ დოლარი იგზავნება ქვეყანაში „მსუბუქი გადატრიალების“ მოსაწყობად, რათა აქ არსებული ხელისუფლება ვაშინგტონისთვის ხელსაყრელი ხელისუფლებით შეიცვალოს — თეთრი სახლი მზად არის, საკუთარ გეოპოლიტიკურ ამბიციებს საქართველო შესწიროს.

უცნაურია ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო, მოგვიანებით, მაგრამ მაინც, რატომღაც გული უჩვილდებათ ხოლმე და პატარაზე ურღვევენ გუდას პირს. არადა, იმ პატარა მორღვეულიდან რამხელა გულში მოსახვედრი ქვა ვარდება...

ქართველი ხალხი ბრიყვი არ არის, თავშივე ხვდება, რისგან რა გადმოდინდება, მაგრამ მცირერიცხოვნებისა და მოღალატე ხელისუფლებების გადამკიდეს, გასაქანი არ აქვს, ვერ შლის ხელებს იქამდე, სადამდეც სურს...

„პირველი ნაბიჯი, რომელმაც მცდარ გზაზე დაგვაყენა, მაშინ გადაიდგა, როდესაც ნატო-მ გაფართოება დაიწყო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შეიერთა, რომელთაგან ზოგიერთი რუსეთს ესაზღვრება“, — ასეთი განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა უილიამ პერიმ და ამ ნაბიჯს „ამპარტავნული“ უწოდა. მან ამერიკის საგარეო პოლიტიკაში სამი მომენტი გამოჰყო, რომლებმაც ხელი შეუწყო „ცივი ომის“ შემდეგ ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობებში გაჩენილი აღმავლობის მინავლებას.

მეორე შეცდომად პერი აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებას მიიჩნევდა, ჩვენ (ეს სისტემები) ჩაფიქრებული გვქონდა, როგორც ირანის ბირთვული რაკეტებისგან დაცვა, თუმცა მათ ისინი (რაკეტები) არ აქვთ, მაგრამ ეს სხვა საკითხიაო და მესამე მომენტს მიადგა — ეს არის „ფერადი რევოლუციების“ მხარდაჭერა, კერძოდ, საქართველოსა და უკრაინაშიო. იგი მიიჩნევდა, რომ ამგვარი მხარდაჭერა სრულიად ეთიკურია, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ორი ქვეყანა — ამერიკა და რუსეთი ამ ყველაფერმა მიიყვანა სახიფათო დაძაბულობამდე. უილიამ პერის 1994-1997 წლებში ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში პენტაგონის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა.

როდესაც უილიამ პერი ამ თემაზე საუბრობდა, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ზრდილობის გამო უსმენდნენ და არავინ არაფერი გაითვალისწინა...

რაც შეეხება ევროკავშირს, იმხელა ევროპარლამენტში მხოლოდ ორი ევროპარლამენტარი აღმოჩნდა, ნიდერლანდელი მარსელ დე გრააფი და ირლანდიელი მიკ ვოლასი, რომლებმაც ევროპარლამენტი თავზე დაამხეს ისედაც კორუფციის ლაფში ფეხჩადგმულ ევროპარლამენტარებს და ფარისევლებად გამოაცხადეს.

გარდა ევროპარლამენტარობისა, არ ვიცი, ვინ არიან ეს პატივსაცემი კაცები, რა აკავშირებთ საქართველოსთან, მაგრამ მათ მიერ სიმართლის თქმამ მათდამი სიმპათია გამიჩინა — კოლეგებო, თქვენ იღებთ ამ კანონს („რუსულ კანონზეა“ საუბარი, რეალურად მაიდნის ფონისთვის რომ გაფინეს რუსთაველზე), ოცნებობთ, რომ ეს კანონი გქონდეთ, როგორც აშშ-ს, ისრაელს და სხვას აქვს და იმათ (საქართველოს) უშლითო? არეულობა გინდოდათ და ხელისუფლების შეცვლაო.

„როგორც ჩანს, დემოკრატია საფრთხეშია საქართველოში. ფარისევლობა ამაზრზენია. მე ვეტყოდი საქართველოს: გააჩერეთ ევროკავშირი თქვენი სახლის კართან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ იქნებით მისი ვასალი სუვერენიტეტისა და იდენტობის გარეშე!“ — ევროპარლამენტის ტრიბუნიდან გვითხრა მარსელ დე გრააფმა.

ნატო-ს დაგმანული კარი ახლაც ღია გვაქვს, მაგრამ ჭვინტს არ გვაყოფინებენ შიგნით. წლებია, „ჭრელო პეპელას“ მდგომარეობაში გვამყოფებენ, სითბო ვერ დავაყენეთ სახლში, ახლა კი ევროკავშირზე თვით ევროპარლამენტარი გვეუბნება, გირჩევთ, სახლში არ შემოგვიშვათ, თორემ დაიღუპებითო, — ეს რა დღეში ჩაგვაგდო მავანთა გაუმაძღარმა ფაშვმა და ჩვენივე უსუსურობამ!

ჯოზეფ ბორელიღა გვაკლდა სრული „ბედნიერებისთვის“ და ბარემ მოგვიმღეროს „ვერ აგისრულეთ, რასაც დაგპირდითო“...

დიდი ბრიტანეთი რომ ტაშს გიკრავს საქართველოს და მხარდაჭერას გპირდება ევროკავშირისკენ მიმავალ საეჭვოდ დახლართულ ბილიკებზე, თვითონ კი, ევროკავშირის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა, უკანმიუხედავად დატოვა იგივე ევროკავშირი გაცხადებული მიზეზებით (არაერთხელ ითქვა და ის მიზეზები, უპირველესად პატარა საქართველოსთვის უნდა იყოს ყურადსაღები!), ხომ უნდა მიხვდე, რომ რაღაცას გატყუებენ, მაკარ!

ახლა ახალი ოხუნჯობა კიდევ — ჰააგის სასამართლომ ვლადიმირ პუტინის დაკავებაზე რომ დაახეთქა და საქართველოს „შინ ევროპული“ და „არარუსეთუმე“ უწიგნური ნაწილი აბოჟირდა, „ოკუპანტს დაიჭერენო“. გააგებინეთ იმ „უშკოლოებს“ ვინმემ, რომ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის I ნაწილის, 37-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, აღნიშნული სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს საქმეები „რომის სტატუტის“ არაწევრი ქვეყნების მიმართ!

ცნობისათვის: ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას არ ცნობენ: აშშ, ისრაელი, თურქეთი, ინდოეთი, ჩინეთი, ირანი და სხვა მრავალი ქვეყანა.

ამდენად, რუსეთის პრეზიდენტის მიმართ ხსენებულ სასამართლოში დაწყებული სისხლის სამართლის საქმის წარმოება და პუტინის დაკავების სანქცია იმდენად ფარატინა ქაღალდია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, დმიტრი მედვედევის კომენტარი გაახსენდება კაცს: პუტინის დაკავების ორდერი ცხვრების გასართობად ხარიხაზე ჩამოკიდებული, ტომარაში ჩასმული კატის ფხარკალია და მეტი არაფერი!

ახლა რა ხდება, მთელი აპრილის თვე გაეროში სხდომებს ლავროვი ჩაატარებს? დასავლეთმა ის ვერ მოახერხა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობა რუსეთისთვის არ გადაეცათ და რუსეთის დამარცხებას აპირებს?

არავინ დაიწყოს იმის მტკიცება, რომ როტაციით ეკუთვნოდა რუსეთს და ა.შ.

ჩვენ რომ გვეკუთვნოდა კანდიდატის სტატუსი ევროპიდან, ისე ვის ეკუთვნოდა, მაგრამ განა მარტო არ მოგვცეს, მწარედ დაგვცინეს კიდეც. ვისაც ერევიან, გასდით. ვისთანაც ვერ გასდით - აგერ, ფრიალებს რუსეთის დროშა ამაყად გაეროში.

მოკლედ, მთელი აპრილის თვე ლავროვს უნდა ვუსმინოთ, თუ როგორ დაალაგებს მსოფლიოს უსაფრთხოების საკითხებს რუსეთი. რა სასაცილოა, არა?!

როდემდე უნდა აცხოვროთ ამ სიყალბეში ხალხი?

განრისხებული ზელენსკი დღეს კი არის მართალი, მაგრამ ამაზე თავიდანვე უნდა ეფიქრა. გამოვიარეთ ჩვენ ეგ პერიოდი, ჩვენო უკრაინელო მეგობრებო. აგვისტოს ომის შემდეგ სამაგალითოდ რომ უნდა დაესაჯათ რუსეთი, სამაგალითოდ გააძლიერეს და გაზარდეს მისი კაპიტალი.

ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუკი უკრაინის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთი სამამულო, ეროვნული პროდუქციით, რაც მანამდე არ ჰქონდა, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოდ მოგვევლინოს. ამ ერთ წელიწადში ასეულ მილიარდობით დოლარი შევიდა რუსეთში სწორედ ამერიკიდან და ევროპიდან.

ჩვენს „ჭკუათმყოფელ“ ქართულ ოპოზიციას კი მივმართავ: როდესაც ვინმესთვის „რუსეთუმეს“ დაძახება მოგინდებათ, თავი დასავლეთისკენ მიაბრუნეთ, - საჯაროდ დაწერა თამარ ჩიბურდანიძემ და ცამდე მართალია!

ამ ფონზე, ამ ჩვენი სამშობლოს მარადიული მათხოვრის როლში ჩარჩენილი ყველა ხელისუფალი ხან „დეიდა ნატოს“ მისდევს ჩავლილი ნატო-ს მატარებელის არსაითკენ მიმავალ ლიანდაგებზე და ხან ევროკავშირს უპირებს ასკინკილით გარს შემოვლას: თქვენი ლამაზი თვალების ჭირიმე, თქვენს ოჯახში მინდა შემოსვლა მონამორჩილად და ხელს ნუ მკრავ, ყველაფერს შეგისრულებო.

ევროპარლამენტარები (მხოლოდ ორი!) ევროპარლამენტში დასადგურებულმა ფარისევლობამ შეაწუხა და ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები — დაუსრულებელმა რევერანსებმა იმ ქვეყნებისა და შემოგდებული ორგანიზაციების წინაშე, რომელთაც ჩვენი სამშობლოს გაქრობის ხარჯზე საკუთარი ქვეყნების კეთილდღეობა უნდათ, საქართველოს მოქალაქეების ბედი კი სულაც არ ანაღვლებთ.

ხალხი ხვდება ამას და ამიტომაც აღიზიანებთ „დაუძინებელი მეგობრების“, უცხო ქვეყნებისა და მათი ორგანიზაციების დროშები...

ახლობელი მყავს, საბერძნეთ-თურქეთს შორის უწევს გადაადგილება და გულმოსულია, ათენის პარლამენტის შენობაზე მხოლოდ საბერძნეთის დროშა ფრიალებს; თურქეთშიც, რომელიც ნატო-ს წევრი ქვეყანაცაა და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსიც აქვს, თურქეთის დროშის გარდა სხვა დროშას ვერ ნახავ, ისიც, მხოლოდ ერთია ყველა დაწესებულებაზე და ჩვენ რა გვჭირს, ფართალი მოჭარბებულად გვაქვს და გვიხარიაო?

ელემენტარული ვერ გაუგია ვერცერთ ხელისუფალს, რომ საქართველო ერთია და მას აქვს ერთი განსახიერება; ერთი სამოხელეო დაწესებულებაა, ვთქვათ, მერია და იმ მერიაზე ერთი საქართველოს განსახიერება უნდა იყოს დროშის სახით და არა — ოცი. თუ მაინცდამაინც დროშების ფრიალი უნდათ, 300-ზე მეტი სახელმწიფოა და აფრიალონ ყველას დროშა ერთად, პატივისცემაში მაინც ჩაეთვლებათ და არა სიბრიყვეში.

დროშას კანონი უნდა იცავდეს! იცავს?

კი, იცავს, მაგრამ მხოლოდ ევროკავშირისას და ნატო-სას (ჯარიმა 1000 ლარი ყოფილა მის ჩამოხსნაზე) თვით საქართველოსას კი არ იცავს, ვისაც როგორ უნდა, ისე გადაღებავს და გამოფენს...

მოგატყუეს, მაკარ!

მოგატყუეს და ახლა მაინც მიხვდი, რა სჯობს, სხვის დაკრულზე ცეკვა თუ ის, რაც იყო: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის. მით იყვეს უკედ. ადრიდა ერი ერობდეს, გული გულობდეს, ვაჟაი ვაჟობდეს, ქალაი ქალაბდის...“

**ნინო დაუშვილი**



წლების წინათ უცნაური კაცი მოვიდა ჩვენი გაზეთის რედაქციაში მოზრდილი ჩანთით, ქარელიდან ჩამოვედი თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილის გამო და უნდა მომისმინოთო. ცხონებულმა ვახტანგ ხარჩილავამ ვერაფერი გაიგო, რა უნდოდა სტუმარს, რას უხსნიდა ასე დაბეჯითებით და რა ფურცლებს უჩვენებდა მონაცვლეობით. ვერც იქ მყოფმა კოლეგებმა გაიგეს რამე და მე დამირეკა ვახტანგმა: სასწრაფოდ მოდი! შავ დღეში ჩამაგდო ამ კაცმა, — ქართულად მელაპარაკება და არცერთი სიტყვა არ მესმის, რას მიმტკიცებს, ვერ გავიგეო.

რა არგუმენტები ედო იმ ჩანთაში და რას ამტკიცებდა, „ვთარგმნე“ და დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ მე მისი ნათქვამიდან გულში ჩამრჩა მხოლოდ ერთი ფრაზა: ზეციდან დედამიწაზე მოვლენილი კოსმიური ცოდნით განათებული პირველი სამეფო ხელისუფლება, რომელიც კოლხეთის მიწაზე გაიშალა, განვითარდა და მსოფლიო ცივილიზაციის დასაბამად იქცა, უეცრად დაემხო და გაქრა. რაღაც დამსახურებისა და დიდი მისიისთვის მის შთამომავლებად (იმ დროისათვის) დავრჩით ძალზე მცირე რაოდენობის ქართველები! ჩვენ დაგვწყევლეს! წყევლა მიუბრუნდა მაწყევარსაც და თქვენც ხედავთ (დაასახელა ჩვენი დამაწყევარი ერი)! წყევლას ყავლი გასდის და ეს მათმა შთამომავლებმაც იციან. ძალიან მალე ისევ აღსდგება მათ დანატოვართან (ანუ ჩვენთან) გაწყვეტილი კოსმიური კავშირი, მაგრამ მანამდე დიდი გაძლება გვმართებს. მხოლოდ გონიერებით დავძლევთ ამ გამოსაცდელ ვადას. ბოლო ჟამია, ან სამუდამოდ გადავრჩებით, ან სამუდამოდ დავიღუპებით!..



# სამგლე სალომე

დაწყევლილებს რომ ვგავართ, ამას ქარელიდან ჩამოსული „უცნაურად მეტყველი კაცის“ დადასტურება აღარ უნდა, ფაქტები საუკუნეების განმავლობაში მეტყველებენ ამაზე!

სალომე — იუდეველი პრინცესა, ტეტრარქ ჰეროდე ანტიპატროსის გერი, რომლის ბრძანებითაც მან თავი მოჰკვეთა იოანე ნათლისმცემელს და შემდეგ ლანგრით მიართვა. იოსებ ფლავიუსის ცნობების მიხედვით, სალომე დაქორწინებული იყო საკუთარ ბიძაზე, ფილიპე ტეტრარქზე, მისი გარდაცვალების შემდეგ კი საკუთარ ბიძაშვილზე, არისტობულუს ქალკელზე გათხოვდა, რის შემდეგაც დედოფალი გახდა.

რამ გამახსენა ახლა ეს?!

რა ვიცი, თუ ჩაუღრმავდებით, ცხადი გახდება, რატომ გამახსენდა პრინცესა სალომე საქართველოს პრეზიდენტ სალომესთან დაკავშირებით, რომლის გამოსვლასაც 31 მარტს პარლამენტში, ისეთი რეაქცია მოჰყვა ხალხის მხრიდან, როგორიც მხოლოდ მტერს შეიძლება უსურვო.

ვფიქრობ, იმ იშვიათ გამონაკლისთა წრეს მივეკუთვნები, რომელიც პრეზიდენტად დასმული ვინმე სალომე ზურაბიშვილის მიეთმოეთით არც გაბრაზებულა და არც გაოცებულა.

არც სინანულმა დამრია ხელი, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმა რატომ მივეცი მის გაპრეზიდენტებას-მეთქი.

„მე რომ ამირჩიეთ, ამით ევროპულ მომავალს დაუჭირეთ მხარიო“, — მგონი, იქით დაგვადო ვალი. არადა, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი რომ არ ყოფილიყო, ეს ქაჯთაპირი ქალი რიგითი პარლამენტარიც კი ვერ იქნებოდა, ისე იყო მიკუჭნული პოლიტიკური კარადის კუთხეში ობმოდებული...

ჩვეულებრივი ჯიბრიანი საარჩევნო მარულა იყო. ერთ მხარეს იდგა დასავლეთის უსამშობლო აგენტი, მეორე მხარეს კი — რუსეთის უსამშობლო აგენტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან.“ მიუხედავად ბიძინა ივანიშვილისადმი დიდი პატივისცემისა, ორი აგენტიდან რომელი უნდა ამერჩია? მაგრამ როცა გამოჩნდა, რომ „ნაციონალი“ აგენტი არცთუ დიდად ჩამორჩებოდა დასავლელ აგენტს, ზლაზვნით ავითრიე წელი და სამადლო ხმა მივათხლიშე. ცუდსა და უარესს შორის გავაკეთე არჩევანი და ძალიან კარგადაც მოვქცეულვარ, ნიღაბჩამოხსნილი რუსეთის გვერდზე საბრალოდ აგდია ნიღაბჩამოხსნილი კოლექტიური დასავლეთიც!

ფაქტობრივად, საზოგადოებისთვის გრიგოლ ვაშაძე იმიტომ იყო მიუღებელი, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენდა და მოცემული ორი არჩევანის გარდა სხვა ვარიანტები არ იყო.

მიხეილ სააკაშვილიც მაოხრებელ გზირად გვექცა, თორემ აგენტი გრიგოლი რას დააშავებდა აგენტ სალომეზე მეტად, პირიქით კი შეიძლება, მომხდარიყო. ერთადერთი შემაფერხებელი გრიგოლის „ნაცობა“ და, აქედან გამომდინარე, სააკაშვილის შეწყალება იკვეთებოდა გარდაუვლად, თორემ აგენტი გრიგოლიც ნამდვილად არ გაუხსნიდა „მეორე ფრონტს“ რუსეთს და თავისიანებსაც დააშოშმინებდა. მოცემულობა იგივე იქნებოდა, რაც დღეს არის, იმ განსხვავებით, რომ მიხეილ-სიმულანტი დორბლმდინარი სატელევიზიო ჩართვებით გადაგვჭამდა თავს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ჟამიდან ჟამამდე.

ეს ერთი განსხვავება ჩანდა ამ ორ აგენტს შორის და ვატყობ, ესეც წაიშლება — გაკაპასებული და პირადი გამორჩენის გამო სხვაზე მიყიდული ქალი, ყველაფრის მკადრებელია, თავის გადაფურთხებულსაც „არა და არასდროს!“-ო ურცხვად ალოკავს...

ერთი ღირსეული საპრეზიდენტო კანდიდატი ვერ წარმოდგა სამმლიონიან საქართველოში, რომ ერი გაჰყოლოდა, თორემ დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ბიძინა ივანიშვილის პროტეჟეობაც ვერ უშველიდა საფრანგეთის სტრატეგიული დაზვერვის თანამშრომელ სალომე ზურაბიშვილს. ამას კატასტროფული მდგომარეობა ჰქვია და ვართ კიდეც კატასტროფის წინაშე!

სალომე ზურაბიშვილის, როგორც სისხლისსღვრის მოსურნე არსების მიმართ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, იოტისოდენა სიმპათია არ მქონია. რა დიდი ამოცნობა სჭირდებოდა საქართველოსთვის მის ვარგისიანობას — ქალი ქართული ფესვით, რომელიც საქართველოში გაჩაღებულ ძმათამკვლელ ომს, როგორც სეირს, ისე უყურებდა გაღმიდან და მადლობას უხდიდა „პუტჩისტ ტროიკას“, საქართველოს რამეში წაადგებოდა?!

კანონიერად არჩეული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისთვის, რომელსაც, მისგან განსხვავებით, მართლა სრულიად საქართველომ მისცა ხმა — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობის ჩათვლით, მან გულითადი სამადლობელი ტექსტი გამოუგზავნა ევროპიდან „ტროიკას“ (იოსელიანი-სიგუა-კიტოვანი), როგორც დემოკრატიულ ძალებს და ზვიად გამსახურდია დამხობილ დიქტატორად გამოაცხადა...

და ახლა, 31 მარტს, საქართველოს იმ „დიქტატორი“ პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეზე, პარლამენტში, ტრიბუნასთან იდგა საქართველოს მტერი ვიღაც ქალი სრულიად უტიფრად და ყველა დანარჩენ სიმყრალესთან ერთად, ისიც კი გადმოუშვა პირიდან, მის დღეს, ზვიადის რეფერენდუმს დავამთხვიე ჩემი გამოსვლაო...

ეს სამგლე, ესა!

როგორი შუბლისძარღვგაწყვეტილი ყოფილა, რომ გაბედა და იმ ზვიადის სახელი ახსენა, რომელიც ჭირივით სძულდა და ამას არც მალავდა!

ახლახან, ეს ქალი რომ სასწრაფოდ დაიბარეს აშშ-ში და სიტყვად დაგვიგდო შუა ბარგისკვრაში: პირდაპირ ვაცხადებ, რომ ვეტოს დავადებ კანონს „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის“ შესახებო, მაშინვე გადმოგვძახა გრიგორი კარასინმა: ახლა მაგას მკაცრ ინსტრუქციას ჩაუტარებენ ვაშინგტონში, მაგრამ მთავარი შეკითხვაა: შეძლებს თუ ვერა საქართველო, რომ დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი სამოქმედო გეგმაო“.

გარდა თვისტომის სისხლისმოსურნეობისა, ცრუ და ფლიდი, ან ყოვლად უმეცარი ჰქვია პრეზიდენტს, რომელიც საქართველოსთვის მავნებელი ინსტრუქციების მისაღებად ოკეანეს გადალახავს, დროებით მაინც არ დაოკდება და იქიდანაც შეაგულიანებს ისედაც თავგზადაბნეულ ახალგაზრდებს, „არავის აქვს უფლება, წაგართვათ მომავალიო“.

თეატრალობაც რომ არ დაეზარა ამხნის ქალს იმ სიცივეში, თავისუფლების ქანდაკება დაიყენა ცოცხალ ფონად ზურგსუკან, რომ ეს ერთი ფრაზა ჩაეკვეხებინა: „მე ვდგავარ ნიუ-იორკში და ჩემს უკან არის თავისუფლების ქანდაკება. ეს არის სიმბოლო, რისთვისაც საქართველო მუდამ იბრძოდა. მე ვარ თქვენ გვერდით იმიტომ, რომ დღეს თქვენ წარმოადგენთ თავისუფალ საქართველოს. ის საქართველო, რომელიც თავის მომავალს ხედავს ევროპაში და არავის მისცემს უფლებას, რომ წაართვან ეს მომავალი. ეს კანონი, რომელიც არავის არ სჭირდებოდა, რომელიც არსაიდან მოდის, თუ არა რაღაც მოსკოვის კარნახით...“ მართლაც რომ „მოსკოვის კანონი“ ყოფილიყო, ნაცვლად იმისა, რომ დაემშვიდებინა ნგრევაზე გადასული მოტყუებული ახალგაზრდები, ცეცხლზე ნავთი დაუსხა უშურველად...

საკუთარ ქვეყანაში პრეზიდენტებს რომ ძმათამკვლელი ომები და რუსეთის შეიარაღებული სამხედრო ოპერაციების წამოწყება უნდოდეთ, საქართველოს გარდა, ქვეყანა არ მეგულება!

რუსეთმაც კარგად იცის, რა ხვითოცაა ეს ქალი, მაგრამ მაინც, არ დაახანა და უსწრაფესად გაისროლა ვითომ ჰაერში „**РФ окажет всеобъемлющую поддержку Абхазии и Южной Осетии, народ которых сделал выбор в пользу углубления интеграции с ней**“-ო, „მულო შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონე“-ს პრინციპით.

პარლამენტის ტრიბუნიდან რაღაცას იჩხლართებოდა ცუდად დაჭმუჭნილი ქაჯივით პრეზიდენ-

# პ-რეზიდენტი



**რამაზ საყვარელიძე**

**ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი:**

**პრეზიდენტის გამოსვლის ტექსტი ძალიან ჰგავდა ოპოზიციის ნარატივს. ამიტომ ჩემი შეფასება, ფაქტობრივად, ორივეს — პრეზიდენტსაც ეხება და ოპოზიციასაც. კერძოდ, პარლამენტში სალომე ზურაბიშვილის გამოსვლით, წესით, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაცია უნდა იყოს კმაყოფილი. დიახ, სწორედ რუსეთს სჭირდება იმაზე პედალირება, რომ საქართველო არ არის ისეთი თანამიმდევრული, ერთგული „ევროპისტი“, როგორც ეს დასავლეთს სჭირდება. ანუ, დასავლეთსა და საქართველოს შორის ხიდის ჩატეხვა თუ ვინმეს აწყობს, ეს რუსეთია. პრეზიდენტიც და ოპოზიციაც ბეჯითად ზრუნავენ იმაზე, რომ დასავლეთი დაეჭვდეს — არის თუ არა რეალურად საქართველო მისი ერთგული. საყურადღებოა, რომ ცალკეული ოპოზიციური ჯგუფების ნათქვამი, თითქოს, საქართველოს ევროპული ორიენტაცია კითხვის ნიშნის ქვეშაა, იმ წონის არ არის, როგორც პრეზიდენტისგან ამის მოსმენა. რა თქმა უნდა, ეს რუსეთს აწყობს. ამიტომაც პრეზიდენტის მოხსენება ოპოზიციის მხრიდან ტაშს იმსახურებდა. ზურაბიშვილს აპლოდისმენტები ეკუთვნის რუსეთიდანაც, რადგან მან ასეთი განცხადებებით სწორედ ფედერაციის საქმე გააკეთა.**



ტად დასმული დაქოქილი თოჯინა, ბოღმასა და ზიზღს აფრქვევდა იქედნური ჩაცინებებით, „ვერ ეღირსებითო“, ბოლოს კი ლამის მეფისტოფელივით გადაიხარხარა.

რაც ჩვენი ქვეყნის თავს ხდება, კაცმა რომ თქვას, არც უნდა გვიკვირდეს, რადგან, როცა უეროვნებო, უმამო მასად გვაქციეს და ხმა არ ამოვიღეთ. მას შემდეგ კი უპრობლემოდ გვახვევენ თავზე ჩალმად უსამშობლო „ღამურებსაც“ და ვართ ასე მუდმივ რყევაში...

როცა ქართველი აღარ ხარ არანაირი საბუთით და არ ჩანს არსად (იუსტიციის სახლის გარდა, ისიც იმიტომ, რომ პიროვნების იდენტიფიცირება მათვე სჭირდებათ) ვინ არის შენი მამა, გაქვს კი მორალური უფლება, რომ მამა-პაპათა დანატოვარ ქართველობაზე გამოთქვა პრეტენზია?

ამ ქალმა, ხელისუფლებასთან და საკუთარ ამომრჩეველთან პირველივე წუთიდან მკაცრი დისტანცია დაიკავა ნაცვალსახელებით: „მე“ და „თქვენ.“ ვინ დაუწერა პარლამენტში გამოსასვლელი სიტყვა, არ ვიცი და არც მაინტერესებს, ფაქტი ის არის, რომ „ჩვენ“ არ ვართ მისი და მას არ სურს, იყოს „ჩვენი და ჩვენთვის“ — ეს გაგვაგებინა ნებსით თუ უნებლიედ, წამოცდენით თუ შეგნებულად.

რა თქმა უნდა, ასეც უნდა ყოფილიყო!

სრულიად უმართებულოდ მიაჩნია ზურაბ ქადაგიძეს პარადოქსად, რომ 32 წლის წინათ, 31 მარტს, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს ხალხის ნება ამცნო და თავისუფლება მიულოცა, ხოლო იმავე 31 მარტს, სალომე ზურაბიშვილმა საკუთარ ამომრჩეველს სახეში შეაფურთხა და საკუთარი მონური ფსიქოლოგიის პრეზენტაცია მოუწყო...

იმავე ტრიბუნიდან, საიდანაც სუვერენული საქართველოს დაბადების შესახებ გაისმა, 32 წლის შემდეგ, ქვეყნის სუვერენიტეტის მესაფლავედ მოგვევლინა საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ისეთი უსამშობლო ნაძირალა აღმოჩნდა, ვისთვისაც დამოუკიდებლობა, ქართული იდენტობა, სამშობლოს აღქმა და სუვერენიტეტი „პარიზულ ვორქშოპებზე“ ისწავლება...

სულაც არ მეჩვენება ამგვარი ქალისგან გასაოცრად, რომ საქართველოს პრეზიდენტის საპატიო სტატუსი, უზრუნველ პენსიასა და ოჯახის წევრების კარიერულ პერსპექტივაში გადააზურდავა...

მე — არა, ხალხს იმაზე სწყდება გული, რომ მის გასაპრეზიდენტებლად, ვისაც როგორ შეეძლო, ისე იბრძოდა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ აშშ-ში მისი შვილების წარმატებული კარიერისთვის უბრძოლიათ...

ჩხუბში რომ დედას მიატოვებ, შენი შთამომავალი გმირად ვერ გამოიჩორკნება, გენი არ აქცევს გმირად... რა გასაკვირია — აგენტ 001-ის პირდაპირი წინაპარი, ბრძოლის ნაცვლად, უკანმოუხედავად გაიქცა დედა-საქართველოდან, მის შთამომავალს გიორგი სააკაძეობა ან იოსებ ჯუღაშვილობა ვერ მოეთხოვება...

რა თქმა უნდა, ასეც უნდა ყოფილიყო!

ეს ხომ იგივე ქალია, იგივე დედა-ქალი და ის პრეზიდენტი, შვილმოკლულ მშობლებს რომ ეუბნებოდა, აქ რას მომივარდითო და ვინც იმ ხალხს შვილები დაუხოცა, იმ სისტემის შემქმნელი ქვეყნის ელჩს დაუდგა ხელისგოგოდ?

„სანდრა მფატრავად“ წოდებული ქალი დიდებულ სტუმარად რომ დაისვა პრეზიდენტის სასახლეში, ხოლო ამ მფატრავის მეუღლის მიერ მრავალ მოკლულთა და ნაწამებთა ოჯახის წევრებს სამჯერ დააძახა გაბრაზებულმა, რას მომივარდითო?! — როგორც ვინმე ბოგანოს, „მისმა უდიდებულესობა“ დეგნანმა ასე უბრძანა და ესეც ფრანგულ მაქმანად შემოევლო მის ღამის საცვალს...

მართებულად იკითხა ჩემმა ვირტუალურმა მეგობარმა: ვეღარ ჩამოვყალიბდი, როგორ დავწერო: 1. ჩვენ ავირჩიეთ საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც უცხო ქვეყნის რეზიდენტი აღმოჩნდა; 2. ჩვენ ავირჩიეთ ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი და ხელში შეგვრჩა გორჯესტანების დედა; 3. ჩვენ ავირჩიეთ, უბრალოდ, გვარამიას „ნათლული?“ ყველა შემთხვევაში, „სირცხვილი იმ გუთნისდედას, წინაპართა საფლავს ხნავდეს“...

ჩვენდა სამწუხაროდ, სამივე მოცემულობა გაერთიანებულად წამოვსვით პრეზიდენტის სავარძელში და, მიუხედავად იმისა, რომ მის ჩიქორთულად ნათქვამებს ჩალის ფასიც არ აქვს, მაინც მოქმედებს ხალხის ნერვებზე და ერთხმად ეთანხმებიან პატიმარ გვარამიას მის შეფასებაში... არადა, როდესაც ნიკა გვარამიამ ცნობილი „დიაგნოზი“ დაუსვა ხალხისთვის ჯერ კიდევ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, ისევ ხალხი აეფარა და დაუდგა გვერდზე, ის ხალხი, შემდგომში პრეზიდენტის სასახლეში „მივარდნილებად“ რომ გამოაცხადა უმადურმა ქალმა...

ზოგადად კი, ნიკო ნიკოლაძე რა შუაშია, საუკუნეების მიღმა, ყველა ვიღაც დაფასებულის შთამომავალია, კარგად რომ ჩაეძიოს გენეალოგიურ ხეს, მაგრამ ერთი ხისგან აკვანიც (სიცოცხლე) გამოითლება და კუბოც (სიკვდილი)! ნიკო ნიკოლაძე იქით იყოს, ხელისგულზე ვინც გვიდევს, იმაზე ვთქვათ, რა ქალია — საქართველოს მეკუბოვეობაზე მეოცნებე...

„ქაჯები მიდიანო,“ — დაიქადნა წლების წინათ ნამდვილმა სალომე ზურაბიშვილმა, როდესაც ერთ დაძახებაზე სპონტანურად 10 000 კაცის გამოყვანა შეძლო იპოდრომზე (მეც იქ გავენთე მაშინ), ახლა კი თვითონ მოგვიბრუნდა ქაჯების წინამძღოლად...

საკუთარი თავის რომ შერცხვება ადამიანს, ამ ადამიანს როგორ დავეხმარე გაპრეზიდენტებაშიო, — ერთი სიკვდილის მოთავებაა და ერთმანეთის დაიწყოო,“ — ერთი ჩაისუნთქა და მოხსნა პირი. პირველივე წინადადებიდან უნდა შეეძახათ: მოდი, შენიდან დავიწყოთ, როდიდან შეუდექი გამიზნულ ფერისცვალებას და გაიყიდე, გვიპასუხეო.

ანდა, რომელ ხალხს ახსენებდა, იმ ხალხს, რომელთა ერთმა ხელისმოსმამ აქცია პრეზიდენტად ივანიშვილის თხოვნით და 31 მარტიდან რომ არ შეჩერებულა მისი ლანძღვის კასკადი, იმ ხალხისგან?

ამ ავადმოსაგონარი გამოსვლიდან დღემდე, ისეთი სიტყვები მიედინება საქართველოს ქალი პრეზიდენტის მისამართით, რომ ასეთი ამოხეთქილი ზედმიწევნითი სკრუპულოზური ლანძღვა, უბოროტესი კრიმინალის, მანიაკი მიხეილ სააკაშვილის მიმართაც არ მსმენია — გამეორებაც კი მეუხერხულება... თუმცა, ვერც ზეაღმატებულს ვიგონებ ვერაფერს, რომ ერთი სიტყვა მეც შემეწია, როგორც ბევრთაგან ერთ-ერთ შეურაცხყოფილს...



რომ აღარ გვრცხვენია, რადგან ყველანი ერთნაირად სირცხვილნაჭამები ვართ საკუთარ თავთან, ეს ორგზის სირცხვილის ჭამაა. აი, ეს სირცხვილი დაგვმართა სალომემ ყველას და ამიტომაც დაატყდა ხალხის რისხვა...

„არ შემიძლია, არ გკითხოთ, სად დგახართ და რატომო, რატომ ჩამოშორდით ხალხსო; დღეს თქვენ ხართ ხელისუფლება, რომელმაც ფერისცვალება

ყველაზე მსუბუქი მოთხოვნა, რაც ამ ქალის მისამართით გავიგე, მრავალგზის გამეორებული სიტყვაა — „იმპიჩმენტი!“

ეს სამგლე სალომე, ესა!

**ნინო დაუშვილი**

## პ-რეზიდენტი



**ედიშერ გვენეტაძე**
**ისტორიის დოქტორი, პროფესორი:**

**სალომე ზურაბიშვილისგან აღარაფერი მიკვირს. პრეზიდენტად წოდებული რეზიდენტი ზურაბიშვილი ჯერ კიდევ 1992 წელს გაჰკიოდა: „ზვიად გამსახურდია, როგორც დიქტატორი, დემოკრატიულმა ძალებმა დაამხვეს, ამისთვის თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუას და მთელ ოპოზიციას დიდი მადლობაო“. აი, ეს გახლავთ ამ ქალბატონის ნამდვილი სახე. როგორც დიდი სულხან-საბა ამბობდა: ძაღლის კუდი არ გასწორდების... მისი გამოსვლა პარლამენტში სხვა არაფერია, თუ არა საქართველოში უცხო ქვეყნების ინტერესების გატარება. მან მხარი იმ დესტრუქციულ ძალებს დაუჭირა, რომელთაც ჩვენი გმირი პოლიციელების ცოცხლად დაწვა დააპირეს, რომელთაც შეურაცხყვეს ქაშვეთის ეზო, „რუსთაველის თეატრს“ ფალოსი მიახატეს, მანქანები დაწვეს, რუსთაველი ააოხრეს ისე, როგორც ეს თავის დროზე ჯალალ ად დინსაც კი არ გაუკეთებია. აი, ამ სუბიექტებს დაუჭირა მხარი პრეზიდენტმა. ამით ყველაფერია ნათქვამი. ზურაბიშვილი აღარ არის ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი. თუმცა, აქვე ხაზგასმით ვამბობ: მას თავის საპრეზიდენტო ვადა აუცილებლად ბოლომდე უნდა მივაყვანინოთ. არავითარ შემთხვევაში იმპიჩმენტის მოწყობა საჭირო არ არის. ჩემი შინაგანი განწყობით, იგი იმპიჩმენტს იმსახურებს, მაგრამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ახლა ამისი დრო არ არის.**

## პ-რეზიდენტი



**ნანა კაკაბაძე**
**ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე:**

**სალომე ზურაბიშვილმა საკუთარი თავი გამოააშკარავა. ეს იყო იმ ადამიანის მხილება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სახელს ატარებს. მას საქართველოსთან თუ რაიმე შეხება აქვს, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში. იგი არ შეიძლება საქართველოს წარმოადგენდეს. ეს დანაშაულია, რადგან საქართველოს ინტერესები მისთვის მნიშვნელოვანი არ არის, მათ შორის, არც სუვერენიტეტი, არც დამოუკიდებლობა. მას არაფერი აღელვებს, გარდა მერკანტილური ინტერესების დაკმაყოფილებისა. ზურაბიშვილი დასავლეთს ემსახურება და არა საქართველოს. იგი არც შინაგანად, არც ენობრივი კუთხით ქართველი არ არის. დააკვირდით, საუბრისას როგორი ცინიკური ღიმილი დასთამაშებდა ბოროტ სახეზე. ასეთი ანტიქართველი საქართველოს პრეზიდენტად რომ იწოდება, ეს ქვეყნის სირცხვილია. თუ მიაქციეთ ყურადღება, როგორი თაღლითია — გამოგვიცხადა: ჩემი პრეზიდენტად არჩევა სწორედ ევროპული გზისკენ სვლის გამოხატულება იყო და ხელისუფლებამ მერე ფერი იცვალაო. ხელისუფლება, თურმე, მისი პრეზიდენტობის ვადაში ყოფილა პროდასავლელი და ახლა რუსეთისკენ უქნია პირი. ზურაბიშვილის თავხედობას ზღვარი არ აქვს.**

# იყო პირდაპირი დირექტივა დასავლეთიდან, მას უნდა „დაერტყა“ ხელისუფლებისთვის

## ამერიკასა და ინგლისში ვერც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ გაბედავს პოლიტიკაში ჩართვას, რადგან ეს კანონით არის აკრძალული



**ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს და პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლას პარლამენტში „საერთო გაზეთთან“ საუბრისას ექსპერტი დემოგრაფიულ საკითხებში, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ აფასებს:**

**- თამარ, მახსოვს სალომე ზურაბიშვილის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყავით და დიდი წვლილი მიგიძღვით იმაში, რომ ის დღეს პრეზიდენტია. მეტიც, მეგობრობდით მასთან. როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის მოღვაწეობას და მის დღევანდელ გამოსვლას პარლამენტში?**

მეც დიდი შრომა მაქვს გაწეული, რომ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გამხდარიყო, რადგან მისი არჩევა ქართველ ხალხს არ სურდა. სალომე ზურაბიშვილის ჩამოსვლის დღიდან მის მიმართ უდიდესი სიმპათიით ვიყავი განწყობილი. ბევრი მესმოდა მის ურჩ, ექსცენტრიკულ და არაპროგნოზირებად ხასიათზე, მისი განათლებითა და წარმომავლობით ვიყავი მოხიბლული და უდიდესი ქართველის, ნიკო ნიკოლაძის გამო ვუჭერდი მხარს. კარდაკარ ვიარე, რათა ხმა მიეცათ და ბევრჯერ სერიოზული კამათიც მომსვლია.

დღევანდელი დღე და თავად სალომე ზურაბიშვილი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქართველ ხალხს უნდა დაუჯერო, რომ ის არასდროს ცდება და ყოველთვის სწორ არჩევანს აკეთებს... გვეგონა, ცდებოდნენ, როცა ამბობდნენ, რომ ზურაბიშვილი იქნება ლიბერალების დამცველი, არ დაიცავს ჩვენს ეროვნულ ღირსებას, მას არა აქვს ქართული სული, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ადამიანის შთამომავალია. ნიკო ნიკოლაძის სახელით გავამარჯვებინეთ სალომეს და უფრო მეტად იმის შიშით მოვიდა ამომრჩეველი მეორე ტურზე, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ გაემარჯვა.

**- პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელისუფლება ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯებით ქვეყნის საგარეო მიზანს უპირისპირდება. ამიტომაც არ იმსახურებდა და არც იმსახურებს საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს...**

- დღეს ტრიბუნასთან არა საქართველოს პრეზიდენტი, არამედ, ოპოზიციის პრეზიდენტი იდგა დაერთადერთი მიზანი ჰქონდა - „დაერტყა“ ხელისუფლებისთვის. ველოდით ამ გამოსვლას, მით უფრო, პრეზიდენტის ამერიკაში ხანგრძლივი დაყოვნების შემდეგ. ზუსტად ვიცოდით, რომ ხელისუფლებას გააკრიტიკებდა. წინა გამოსვლაზე პარლამენტში, მან გააკრიტიკა როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, ზურაბიშვილს ჰქონდა მკაცრი დირექტივა მიღებული, რომ არ შეხებოდა ოპოზიციურ სპექტრს. მისი სამიზნე იყო მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლება. ეს იყო პირდაპირი დირექტივა დასავლეთიდან.

ახალი არაფერი მომხდარა. პრეზიდენტმა ისევ უღალატა საკუთარ ამომრჩეველს.

ოპოზიციამ კი ფრთაშესხმული გაუშვა ის ევროპაში, სადაც მალე ჩაბრძანდება და თუკი საქართველო მიიღებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, ამ გამარჯვებას პრეზიდენტი და ის ოპოზიცია „მიიწერს“, რუსთაველზე რომ იდგა და პოლიციას მოლოტოვის კოქტეილებს ესროდა. სწორედ ამ საზოგადებრივი აზრის დამკვიდრებას ცდილობენ ახლა, რადგან მათ იციან, რომ საქართველო, ძალიან დიდი ალბათობით, კანდიდატის სტატუსს მიიღებს.

**- მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის დანარჩენი წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მათთვის მთავარია, ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს, თუნდაც „ოცნების“ მმართველობის პერიოდში, რითაც, ფაქტობრივად, აღიარა, როგორ ცდილობენ რადიკალები, საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ვერ მიიღოს.**

- დიახ, ეს ფაქტობრივად, აღიარა მამუკა ხაზარაძემ. ეცადა, ამ საქციელით დანარჩენებთან შედარებით უკეთესი გამოჩენილიყო. თავად ოპოზიციონერმა ამხილა სხვები, მაგრამ სიმართლე თქვა. ფაქტებითა და არგუმენტებით ვიცით, თუ როგორ დადიოდნენ ჩვენი ოპოზიციის წარმომადგებლები დასავლეთში, ოთახიდან ოთახში და თხოვდნენ, ეხვეწებოდნენ ევროპელებს, არ მიეცათ სტატუსი საქართველოსთვის, სანამ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ იქნება. ყველა საერთაშიორისო ორგანიზაცია ყოველთვიურად დებს დასკვნას, რომ საქართველო დემოკრატიული კუთხით წინ მიდის. ოპოზიციას ერთადერთი გზა დარჩა, როგორმე საქართველო ომში ჩაითრიონ და ხელისუფლება არჩევნებამდე შეცვალონ. ეს გეგმა ჩაუგდო მათ ხელისუფლებამ რუსთაველზე.

**- ასე ძალიან რატომ უნდა რადიკალურ ოპოზიციას საქართველოს ომში ჩართვა?**

- ომში ჩართულ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა ძალიან მარტივია და ამიტომ, მათი ერთადერთი მიზანიც ხომ ნებისმიერი გზით ხელისუფლებაში დაბრუნებაა. ერთ რამეს ვიტყვი, რაც აქამდე საჯაროდ არ მითქვამს: რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან ორი კვირის თავზე, სერიოზული ზეწოლა დაიწყო საქართველოს ხელისუფლებაზე, კონკრეულად პრემიერ-მინისტრზე, რომ საქართველო ომში ჩაბმულიყო. მოწოდება მოდიოდა დასავლეთისგან. კონკრეტულად არ ვიტყვი ვისგან, რადგან არ მაქვს ამისი თქმის უფლება. თუ ლიდერები იტყვიან, მათი ნებაა. პარალელურად, ღია განცხადებები კეთდებოდა უკრაინის ხელისულფლების მხრიდან. მე, პირადად, როგორც 2008 წლის ომის დროს, მზადყოფნაში ვიყავი, გავსულიყავით ქალაქიდან, ბავშვისა და ოჯახის გადასარჩენად. ამ რეჟიმში ვიყავით ერთი კვირის განმავლობაში. მე არ მქონდა პანიკის დათესვის და იმის თქმის უფლება, რასაც ხელისუფლება ბოლომდე უძლებდა, ფაქტობრივად, ომის ზღვარზე ვიდექით. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ამხელა წნეხს გაუძლებდა... ნახევარი ნაბიჯი გვაკლდა ომამდე. ერთი ზედმეტი სიტყვის წამოცდენა და ნებისყოფის გატეხვა ხელისუფლების მხრიდან... და საქართველო ომში ჩაერთვებოდა.




მართლა ძალიან მტკიცედ დადგნენ და ქვეყანა ომს გადაარჩინეს.

**- სწორედ ამ რთულ პერიოდში შეიქმნა „ხალხის ძალა“. მაინც, რა იყო თქვენი მიზანი?**

- „ხალხის ძალის“ გამოყოფა „ქართული ოცნებიდან“ ხალხისთვის სიმართლის თქმის პრინციპს ეფუძნებოდა.როცა გეუბნებიან, რომ გეკუთვნით, მაგრამ არ მოგცემთო, შეურაცხმყოფელია...სწორედ ეს გახდა „ხალხის ძალის“ შექმნის საბაბი. ასე რომ, სტატუსის მინიჭება იქნება ხელისუფლებისა და „ხალხის ძალის“ დამსახურება და არა იმ ადამიანებისა, რომელებიც ქუჩაში დგანან და რევოლუციურ სცენარზე ოცნებობენ.

ხელისუფლება ვერ ამბობს ყველაფერს, რადგან ის ვალდებულია, შეინარჩუნს დიპლომატია, ურთიერთობები, პარტნიორობა საერთაშორისო დონეზე... ხელისუფლებაში მყოფი პირები ვერ იტყვიან საჯაროდ ბევრ რამეს, რადგან ამან შეიძლება ქვეყანა დააზარალოს. ამიტომ, სამი დეპუტატის: დიმიტრი ხუნდაძის, სოზარ სუბარისა და მიხეილ ყაველაშვილის გამოყოფის ერთადერთი მიზეზი, თავიანითი ხასიათებიდან გამომდინარე, იყო ის, რომ მათ ვერ აიტანეს ამდენი უთქმელი სიმართლე, რითაც შეიძლება ქვეყანა დანგრეულიყო, გამოვიდნენ უმრავლესობიდან და ღიად დაუსვეს კითხვები ამერიკის ელჩს. მართალია, პასუხი ვერ მიიღეს, მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო გაფართოება მოძრაობამ, შეუერთდნენ სხვა დეპუტატები, შევუერთდით ჩვენც, ექსპერტები და დღეს უკვე ბევრი მხარდამჭერი და თანამოაზრე გვყავს.

**- ყველაზე მარტივია, ადამიანს თუ პოლიტიკურ დაჯგუფებას „პრორუსი“ უწოდო და ხალხის თვალში ამით შეურაცხყო. ოპოზიცია ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს, როგორც „პრორუსი“ ძალისკენ, ხელისუფლება კი - პირიქით... რას ეტყოდით ამ ადამიანებს?**

- თუკი არ მოგწონს ევროპარლამენტარი, რომელიც უსაფუძვლოდ გაკრიტიკებს, ცილს გწამებს ტყუილებით და ამას ამხელ,

## პ-რეზიდენტი



ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი:

სალომე ზურაბიშვილმა, პირველ რიგში, საკუთარ უფლებამოსილებას გადააამეტა. ნეიტრალური არბიტრის როლის ნაცვლად, მისი მხრიდან ქვეყნის დისკრედიტაციის მცდელობა ვიხილეთ. მან, ფაქტობრივად, გლობალური დასავლეთის აკვიატებული იდეა მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, ხელისუფლებას შემოუბრუნა და ის რუსეთთან ალიანსში დაადანაშაულა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა არ არის. ფაქტია, რომ ანალენა ბერბოკი აქ იმ ახალგაზრდებს შეხვდა, ვისაც დასავლეთი რევოლუციური პროცესების გასავითარებლად საყრდენად მიიჩნევს; ასევე ფაქტია, რომ აშშ-ის ახალი ელჩის მიზანი ხელისუფლებასთან ბრძოლაა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი ამ რეაქციულ ძალებთან უნისონშია და ქვეყანაში იმ დესტრუქციული ქმედებების წახალისებას ახდენს, რისი მოგერიებაც არაერთხელ შევძელით. „დაუძინებელი დასავლელი პარტნიორები“ ხვალ, ალბათ, უბრალოდ, შეუკვეთავენ, რომ პრეზიდენტმა შეიწყალოს სააკაშვილი, გვარამია, რათა ახალგაზრდების მიერ მართული პოლიტიკური პროცესი კიდევ უფრო გააძლიეროს.



თურმე პრორუსი ყოფილხარ.

თუკი არ მოგწონს ამერიკის ელჩის გამოსვლა და მისი შეურაცხმყოფელი განცხადებები, არ მოგწონს ამერიკის სენატორის უსაფუძვლო ცილისწამება საქართველოს ხელისუფლების მიმართ, თუკი გვაქვს ფაქტები და ვამბობთ, რომ დასავლეთმა შეგვიფუთა მიხეილ სააკაშვილი და ჩამოგვიყვანა საქართველოში, რათა რევოლუცია მოეხდინა, პრორუსები ვართ?!

წარვადგინეთ კანონი პარლამენტში, სიტყვა-სიტყვით ვთარგმეთ ამერიკულიდან, წერტილმძიმე არ შეგვცვლია, და ამერიკულ კანონს რომლითაც ევროპის არაერთი ქვეყანა სარგებლობს, თვითონ ამერიკელებმა უწოდეს „რუსული“.ასე აწყობდათ და იმიტომ.

თუკი ვინმეს უნდა საქართველოს შესვლა ევროკავშირში - ღირსეულად შესვლა, ეს, პირველ რიგში, ვართ ჩვენ. ამერიკა ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ქვეყანაა. გარკვეული პერიოდი იქ ვცხოვრობდი, რუსეთი კი თვალით არ მინახავს და დღეს „რუსეთუმეს“ გვეძახიან ისინი, რომელთაგან ზოგს ბიზნესი აქვს რუსეთში, ზოგი სულაც იქ არის დაბადებულ-გაზრდილი და რუსეთის მოქალაქეა.

რეალურად, ჩვენ ვგმობთ ყველაფერ არაქართულს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის საზიანოა, ვგმობთ რუსულ ძალადობრივ და ოკუპაციურ პოლიტიკას, რომელსაც ვებრძოდით მთელი 70 წელი და დავაგვირგვინეთ 9 აპრილით. თუკი ვინმე იტყვის, რომ არ შეიძლება რუსეთთან საუბარი, ის პოლიტიკურად ბეცია. უნდა ველაპარაკოთ რუსეთს და ყველა მიმართულებით ვიმუშავოთ მასთან ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად.

საქართველო პატარა ქვეყანაა, აქვს რთული გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა და სამწუხაროდ რუსეთის მეზობელია! ეს არის ჩვენი სასჯელი, ჩვენი ჯვარი, რომელიც უნდა ვატაროთ. ამიტომ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი. უნდა გვქონდეს სწორი ურთიერთობები ევროპასთან. ევროპა ჩვენი ოჯახია და ჩვენს ოჯახში უნდა დავბრუნდეთ. ამერიკასთან, რომელიც ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, აუცილებლად უნდა გვქონდეს ურთიერთობა, ოღონდ არა ისეთი, როგორც დღეს გვაქვს, არამედ - ღირსეული, მერე რა, რომ ის დიდი სახელმწიფოა და ჩვენ - პატარა, პარტნიორობაში თანასწორობა უნდა იყოს მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. სისხლის ფასად გამოვეხსენით რუსეთს და აღარ გვინდა, ასევე გამოვეხსნათ სხვა ქვეყანასაც, თუ ისეთივე ურთიერთობები გვექნება მათთან.

სახელმწიფო როდესაც ხარჯავს საკუთარი ხალხის ფულს, ის, უპირველესად, მისი სახელმწიფოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ასე რომ, თუკი ვინმემ რამე დახარჯა ჩვენს ქვეყანაში, მადლობელი ვართ მათი, ბევრი ჩვენი საქმე გაკეთდა, მაგრამ ეს, უპირველესად, მათ ინტერესებში შედიოდა.

## პ-რეზიდენტი



**სოსო მანჯავიძე**
**პოლიტოლოგი, ისტორიკოსი:**

**მადამ „ჟეოლჟიის პრეზიდანი“ ჩვეულებრივი აგენტია. ხალხს ძლიერი მმართველი სჭირდება და აჰა, მოგვევლინა ახალი ბონაპარტე. არ შევცვლილვარ და არც შევიცვლებიო, — ბრძანა მან. კი, ბატონო, რა აგენტიც იყო დედიანბუდიანად, ზუსტად ისეთივე აგენტი დარჩა. სანამ შარს არ გადაგვყარა, სასწრაფოდ საფრანგეთში უნდა დავაბრუნოთ, სერიოზული დავალებები აქვს ჩამოტანილი. აქვე მინდა, ერთი რჩევა მივცე „ხალხის ძალას“, რომელიც იმისთვის შეიქმნა, რომ ხალხს სიმართლე უთხრან — ბოლომდე თქვით სიმართლე! მოსახლეობამ ზუსტად უნდა იცოდეს, ვინ ვისი აგენტია, ვინ აფინანსებს, რომელ ქვეყანას, სპეცსამსახურს წარმოადგენს ესა თუ ის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი და ა.შ. იმიტომაც კინაღამ აგენტების რევოლუცია მოხდა. მთელი აგენტები გარეთ იყვნენ. ტრაგიკული რომ არ იყოს, ეს ყველაფერი სასაცილო იქნებოდა.**

**- „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო ქართული სასამართლოს რეფორმა. ამბობდით, რომ ამერიკა არ უნდა ერეოდეს ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ საკითხებში...**

- რაც იურისტებისგან ვიცი, ისაა, რომ სასამართლოს რეფორმა სჭირდება, მაგრამ ჩვენ ვერ დავუშვებთ სასამართლოს სადავეების სხვის ხელში გადაცემას. ისრაელმა როგორც უთხრა ამერიკას, რომ ქვეყანა ჩემია, დამოუკიდებელია და სასამართლოც ჩემი სახელმწიფოსი იქნება, მე ვმართავ ჩემს ქვეყანაში სასამართლოსო, - ზუსტად იგივე მიმართვა შეგვიძლია გავუგზავნოთ ჩვენც ამერიკას. სასამართლო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გარანტი და ის უნდა იყოს თავისუფალი, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე გარე პოლიტიკისგან. ეს არის მთავარი პრინციპი.

**- სულ ახლახან რუსთაველის გამზირზე ბევრი ისეთი ახალგაზრდა ვნახეთ, ვისაც ნაციონალების რეჟიმი არ ახსოვს. რადიკალები სწორედ ამით სარგებლობენ. დავიჯერო, წაკითხული და გააზრებული ჰქონდათ ის კანონი, რასაც აპროტესტებდნენ?**

- ახალგაზრდების თემა ერთ-ერთი პრობლემურია ჩვენს ქვეყანაში, ამჯერადაც ვნახეთ, წლებია,დასავლეთი ჩვენს ახალგაზრდებზე „მუშაობს“ და არა მაქვს გარანტიები, რომ რუსეთიც იგივეს არ აკეთებს. ყველა სახელმწიფო, რომელსაც თავისი ინტერესების გატარება უნდა ჩვენს ქვეყანაში, შემოდის სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების სახით..

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უცხოეთიდან შემოსული ფულის გამჭვირვალობას. ასეული მილიონობით დოლარი შემოდის ყოველწლიურად, ეს თანხა იხარჯება კარგ საქმეებში, კარგ პროექტებში და ამისათვის ყველას დიდი მადლობა, ევროკავშირი იქნება ეს, ამერიკა, აღმოსავლეთი თუ სამხრეთი... მაგრამ ამასთან, ამ თანხებით ფინანსდება ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მას იყენებენ არა სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბებისთვის, არამედ, პოლიტიკაში ჩასართავად.

არადა, არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არასამთავრობო ორგანიზაციას უფლება არა აქვს, პოლიტიკაში ჩაერთოს. ამერიკასა და ინგლისში, პირველი, რითაც დავინტერესდი, ეს იყო სამოქალაქო სექტორი და პოლიტიკა და სწორედ იქ გავიგე, რომ ვერც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ გაბედავს პოლიტიკაში ჩართვას, კანონით არის აკრძალული.

## პ-რეზიდენტი



**შოთა გლურჯიძე,**
**მხატვარი:**

**სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა რომ შეაფასო, უნდა იცოდე, რა დგას მისი მოხსენების უკან. როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში საკმაოდ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც გარე ძალების მიერ იმართება. აქედან გამომდინარე, რა პოზიცია აქვს ზურაბიშვილს — არის თუ არა იგი, ამ შემთხვევაში, ქართული, შიდა პოლიტიკისთვის ერთგვარი მეხამრიდი, თუ პირიქით, ანგრევს მას, ვერ გეტყვით. ერთი რამ ნათლად ჩანდა — იგი ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას ერიდებოდა და ჯოხი მხოლოდ „ქართულ ოცნებაზე“ გადატეხა. ივანიშვილი პოზიტიურად დაახასიათა, აღნიშნა, რომ მისი პრემიერობის დროს პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა, პროევროპული კურსი გამყარდა, ბრიუსელში პირველი ვიზიტი შედგა და ა.შ. შესაძლოა, მისი გამოსვლა ნიშნავდა იმას, რომ „ქართული ოცნება“ მმართველი ძალა აღარ იქნება და არჩევნების შემდეგ ოპოზიციაში გადაინაცვლებს. გაჩნდება ახალი აქტორები. იმიტომ, რომ „დემოკრატიულ ქვეყანაში“ ხელისუფლებაში სამჯერ მოსვლა ზედიზედ არსად ხდება. არ მგონია, დასავლეთმა „ქართული ოცნების“ მესამედ არჩევა დაუშვას. გარე მმართველობაზე ძალიან დამოკიდებულნი ვართ. რეალურად, ჩვენი ქვეყნის მართვის საჭე ამერიკისა და ევროკავშირის ხელშია. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, პრეზიდენტის გამოსვლა ქვეყნის შიდა მართვაში ერთგვარი ცვლილების ნიშანი იყოს. ამიტომ ზოგიერთების ადგილას, მე ზურაბიშვილის ასე მონდომებით გალანძღვისგან თავს შევიკავებდი. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იგი ივანიშვილთან შეთანხმებულად მოქმედებს და მერე, ნაუცბათევად ისევ მისმა ქება-დიდებამ არ მოგიწიოთ.**

„უცხოური ქვეყნების გავლენის აგენტების“ შესახებ კანონის მთავარი მიზანი სწორედ ეს, უცხოური გამჭვირვალობა იყო. კანონი იარსებებდა იმისათვის, რომ მოსახლეობას გაეგო, ვინ „წამლავს“ მათ შვილებს უცხოეთიდან, რა ფული შემოდის საქართველოში, რაში და რა თანხა იხარჯება... არამხოლოდ ხელისუფლებას ეცოდინებოდა ამ ფულის შემოდინების შესახებ, არამედ რიგით მოქალაქესაც შეეძლებოდა საერთო ბაზაში შესვლა და ყველა მონაცემის ნახვა. თუმცა, ეს კანონპროეტი არ აწყობდა ზუსტად იმ არასამთავრობო სექტორს და მათ დამფინანსებლებს, რომლებიც თანხებს პოლიტიკური ზრახვებისთვის იყენებდნენ, მათ ამ კანონით ეკეტებოდათ მთავარი არტერია, რითაც იკვებებოდნენ. ამიტომ, ხალხი გაიყვანეს რუსთაველზე და ხელისუფლება აიძულეს, კანონი უკან გაეწვია. თუმცა, კანონმა მცირე დროშიც კარგად „იმუშავა“, ამ ადამიანების ლუსტრაცია მოახდინა.

**- დაბოლოს, რას ეტყოდით იმ ადამიანებს, ვისაც უკეთესი მომავლის მოლოდინი აქვს ჩვენს ქვეყანაში?**

- მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ არ ვებრძით დასავლეთს, ჩვენ გვაქვს დასავლური კურსი და ამ კურსით მივდივართ! ჩვენ ვებრძვით დღევანდელ პოლიტიკურ განცხადებებს, რიგით პოლიტიკოსებს, რომლებიც ზურგს უმაგრებენ სააკაშვილის მკვლელ რეჟიმს. ჩვენ არ გვინდა, რომ ის რეჟიმი დაბრუნდეს.

დასავლეთი, რომელიც მიშას დემოკრატიის მამას უწოდებს და ევროპაში შემოსაშვები საშვი მიხეილ სააკაშვილიაო გვეუბნება, ასეთ ევროპაზე რა უნდა ვთქვათ?! თუკი სააკაშვილი იქნება ჩვენი საშვი ევროპაში, ასეთი ევროპა არ გვინდა!

ჩვენ გვინდა ევროპა, თავისი ღირებულებებით, ისეთი, როგორიც ავირჩიეთ წლების წინათ და როგორსაც ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობამ. აუცილებლად მივიღებთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. ჩვენ ეს დავიმსახურეთ!



**ნონა ქარქაშაძე**

# არ იქნება სამართალი ქვეყანაში?! – არ იქნება მშვიდობა!



„საკაშვილმა 5 წელი მაწვალა, ესენი უკვე მეთერთმეტე წელია, მაწვალებენ. გიორგის საქმე საერთოდ არავის ახსოვს“, - აცხადებს სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული ახალგაზრდის, **გიორგი გამცემლიძის** მამა „საერთო გაზეთთან“ საუბრისას და დარდობს, რომ შვილის წინაშე პირნათელი ვერ წარსდგება, რადგან მისთვის ვერაფერი გააკეთა.

ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, **ჯამბულ გამცემლიძე** 9 აპრილს აქციაზე წასვლას აპირებს, რათა მსოფლიოს დაანახოს, სად დგას ქართველი ხალხი.

**– ბატონო ჯამბულ, პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში უსმინეთ, ალბათ. ის ერთ დროს თქვენი თანამოაზრე იყო, თქვენს ტკივილს იზიარებდა. როგორ შეაფასებდით ახლა მის მოღვაწეობას?**

– მე არა ვარ ის კაცი, ვისაც შეიძლება პრეზიდენტების, პრემიერების და ასეთი მაღალი თანამდებობის პირების შეფასების კომპეტენცია ჰქონდეს. როგორც ამ ქვეყნის რიგითმა მოქალაქემ, მოკრძალებით მინდა ვთქვა, რომ სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც დღეს საქართველოს პრეზიდენტი ჰქვია, საქართველოს პრეზიდენტი უკვე აღარ არის, ის ოპოზიციის პრეზიდენტია.

ეს ქალი, როგორც იტყვიან, „ვერ არის თავის მოტორზე.“ თუმცა, არც ისეთი „გასული“ მგონია, როგორადაც თავს გვაჩვენებს, რაღაცას თავისკენ „თოხნის“, სათავისოდ ეწევა, მომავალს იმყარებს, რაც სასიკეთოდ არ წაადგება. ვურჩევდი, დაეშვას მიწაზე და თვალი გაუსწოროს რეალობას, ქართველივით მოიქცეს - როგორც ამ ქვეყნის გულშემატკივარს, ქართველ ქალს, ქართველ დედაკაცს შეეფერება! დიახ, ჩვენი თანამოაზრე იყო. გუშინ ჩვენთან იყო ეს ადამიანი, ჩვენთან ერთად დადიოდა, ჩვენთან ერთად აპროტესტებდა რეჟიმს და დღეს რა დაემართა, გაუგებარია!

**– საინტერესო გამოხმაურება გქონდათ სოციალურ ქსელში ახალგაზრდებთან დაკავშირებით, კონკრეულად იმ ადამიანებთან, ვისაც რადიკალური ოპოზიცია გონებას უწამლავს და საკუთარი მიზნებისთვის ცდილობს, გამოიყენოს...**

– არც შაშხანა, არც ბომბი, არც ტყვია და რაკეტაა საჭირო, ერის გასანადგურებლად. მისი განადგურება და დეგრადირება თუ გინდა, ადამიანს არ უნდა მისცე განათლება და ერიც დაღუპულია.

1800-იანი წლების ბოლოს რომ ილიამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩამოაყალიბა, ამ საზოგადოების განახლების საჭიროება დადგება მალე ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ბევრი ძალიან განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა გვყავს, მაგრამ არიან ახალგაზრდებიც, რომელთაც წერა-კითხვა უჭირთ და თუ წაიკითხეს, წაკითხულს ვერ აღიქვამენ, თუ დაწერეს, ვაი, იმ წერას! ქართველი ერის მტერი ცდილობს სწორედ ამ ბავშვების დაზომბებას და ქვეყნის წინააღმდეგ გამოყენებას. „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“, ჩვენმა უდიდესმა პოეტმა რომ თქვა და შენ ამ ცა-ფირუზს გვიგინებ, თავზე გვამხობ, ერთხელ აკაკი წაგეკითხა, შვილო, ვაჟა წაგეკითხა, იქნებ, ასე აღარ მოქცეულიყავი. ჩვენს სამშობლოს, ცა-ფირუზ-ხმელეთს ანგრევ, შვილო?! რუსთაველზე რომ სკამებს წვავდნენ, მეგონა, სახლში შემომიცვივდნენ და ჩემს სკამებს ამტვრევდნენ. პატარა მურიებივით გააბრაზეს, ენაცვალოს ბაბუა მაგათ და ვინც ამას აკეთებინებს, ის ადამიანები არიან დასასჯელები!

მიშა და ის „კაცის ხურდა“ ხაბეიშვილი, დღეს რომ ნაციონალების შეფია და ძმანი მისნი, წამლავენ ამ ახალგაზრდებს.

**– მიშა ნაკლებად მოძღვრავს მათ ახლა, ბატონო ჯამბულ და არც ხაბეიშვილია მთვარი ფიგურა. მათ უკან ისევ ვანო მერაბიშვილი დგას...**

– გეთანხმებით. ის ადამიანის მაგვარი „ბლუყუნ-ტრესტი“ მერაბიშვილი, რომელმაც, ციხიდან გამოვიდა თუ არა, ამ მთავრობას დავამხობთო, თქვა, მაშინვე ციხეში უნდა შეებრუნებინათ. მერაბიშვილმა პრემიის სანაცვლოდ ორი გვამი მოითხოვა, მისი ბრძანებით მოკლეს გია კრიალაშვილი, სამშობლოსთვის მებრძოლი ვაჟკაცი. გიას დაკრძალვაზე ქალი მოვიდა, ამ კაცმა შვილი გადამირჩინა და ვინ ესროლა ტყვიაო, ტიროდა: ხიდიდან ტანკი გადავარდნილა მდინარე ენგურში, გია ჩამხტარა, ლუქი გაუღია და ამ ქალის შვილი ამოუყვანია. აი, ასეთი ვაჟკაცი მოკლეს „ბლუყუნას“ ბრძანებით. ოთანაძე და ამირიძეც ამ სიაში იყვნენ, მაგრამ ისინი რაღაც განგებამ გადაარჩინა.

უსაყვარლესი კაცი, ირაკლი ბათიაშვილი მხოლოდ იმიტომ ჩასვეს ციხეში, გამაგრდით ბიჭებოო, თანამებრძოლებს რომ მოუწოდა. ამ სიტყვების გამო ჩასვეს და არა სახელმწიფოს დამხობის მცდელობისთვის, პოლიციელზე თავდასხმისა და ცეცხლის წაკიდებისთვის.

**არც შაშხანა, არც ბომბი, არც ტყვია და რაკეტაა საჭირო ერის გასანადგურებლად. მისი განადგურება და დეგრადირება თუ გინდა, ადამიანს არ უნდა მისცე განათლება და ერიც დაღუპულია.**

ახლა კი მთელი დღეებია, თვალებდახატული, თმაშეღებილი, მანიკურებიანი ბიჭის ფოტოს ვუყურებ, რომელსაც სოციალურ ქსელებში კედლიდან კედელზე დაატარებენ და თავგამოდებით გულშემატკივრობენ, მიუხედავად იმისა, რომ იციან, რაც დააშავა. ვეღარ ვითმენ, ნერვებს ვეღარ ვთოკავ, თუ რამ მეშლება, მითხარით! რა ხდება, ხალხო, სულ გადავგვარდით, თუ რა ჭირი გვჭირს?! სად იყავით მაშინ, როცა ბუტას, სანდროს, გურამ შარაძეს, გია კრიალაშვილს, სულხან მოლაშვილს და კიდევ 155-ზე მეტ ადამიანს აწამებდნენ და ხოცავდნენ ქუჩებში, არაფრის გამო იჭერდნენ, გვამებზე აკრავდნენ და ციხეებში ალპობდნენ? რა ხდება, ბატონებო, იქნებ, მე გადავირიე და ვიგონებ ამ ყველაფერს? ლამის გული გამისკდეს!

ვხედავ, არავინ ენაღვლებათ, მიზეზს ეძებენ, როგორმე აიყოლიონ ტვინგამოცლილი მხარდამჭერები და არიქა, ვიღუპებითო, გაჰყვირიან!

„ვივამედის“ ზნედაცემული „პაციენტი“ რომ იყოს ახლა ხელისუფლებაში, დაღუპვა მაშინ ენახათ მაგათ!

**– მახსოვს, დიდი იმედი და მოლოდინი გქონდათ, როცა ქვეყნის სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა. გაამართლეს თქვენი იმედი?**

– ხელისუფლება მოსაწონი არასდროს იქნება საღად მოაზროვნე კაცისათვის, რადგან, რამდენი ადამიანიაცაა, იმდენი გუნებაა, იმდენი სამყაროს შემეცნება და გემოვნებაა. თუმცა, თუ საერთო სურათს ავიღებთ, ეს მთავრობა, იმ მთავრობას, რომელიც ბატონმა ბიძინამ მოგვაშორა, ბევრად ჯობს. ხელისუფლების დანაშაული ისაა, სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსულმა სამართლიანობა ვერ აღადგინა. არ იქნება სამართალი ქვეყანაში?! - არ იქნება მშვიდობა! როგორც ამიხსნეს, კოჰაბიტაცია სხვადასხვა აზრის მქონე ადამიანთა თანაცხოვრებას ნიშნავს. იმ ადამიანთან თანაარსებობა როგორ შეიძლება, ვინც ჩემს ლამაზ გიორგიზე ხელი აღმართა და ტყვია ესროლა?!

როგორ შეიძლება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უშესანიშნავესი მეცნიერის, დიდი ქართველის, გურამ შარაძის მკვლელთან თანაცხოვრება? მასზე რომ ხელს აიღებს და იარაღს ესვრის, ასეთ ადამიანთან თანაარსებობა შეიძლება?

კრიალაშვილს რომ კაცი მოკლავს, ბუტა რობაქიძეს რომ ესვრის, ვარციხეში, ქორწილში მიმავალი სამი ბიჭი რომ ჩახოცეს, გზაზე გადაუდგნენ და სამივე მოკლეს, გოგონა რომ მოკლეს ზღვის სანაპიროზე, რადგან პოლიციელს უარი უთხრა ვნებების დაკმაყოფილებაზე და დედისა და შვილის თანდასწრებით მოკლეს ახალგაზრდა ქალი, - მათთან თანაცხოვრება შეიძლება?!

ვდარდობ, რომ, როცა ჩემს შვილთან წავალ, ვერ ვიქნები პირნათელი, რადგან ვერაფერი გავაკეთე მისთვის! ვიყვირე, ვიყვირე, მაგრამ რა, მერე? ჩემი შვილის საქმე თაროზეც აღარ არის. სააკაშვილმა 5 წელი მაწვალა, ესენი უკვე მეთერთმეტე წელია, მაწვალებენ. გიორგის საქმე საერთოდ არავის ახსოვს! იმედი ბოლოს კვდება და მეც არ ვიცი, რა და როდის მოხდება, გაახსენდება თუ არა ეს საქმე ვინმეს?! ვიცი, რომ მკვლელობის დანაშაულს ხანდაზმულობა არ გააჩნია და იქნებ, ოდესმე ვინმე ჩემი შვილის საქმითაც დაინტერესდეს! თუ არა და, უფალი სამართლიანია, უფალი მაინც გაასამართლებს ყველას იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

**– რას ეტყოდით ახლა იმ „ვივამედში გამაგრებულ პაციენტს“?**

– ბევრი რამის თქმა მინდა მაგ კაცზე, მაგრამ მკითხველს არ ვაკადრებ და არაფერს ვიტყვი! დაწყევლილი მყავს მიხეილ სააკაშვილი ისე, როგორც უფალმა გველი დაწყევ-



ლა, „ხოხავდე მუცლითა შენითა, და ვერსად ჰპოვებდე მოსვენებას“. ასე ეხოხოს მუცლით მაგას, ციხე-ციხე და მოსვენება ვერსად ეპოვოს. ესაა ჩემი სათქმელი!

**– 9 აპრილის დაანონსებულ გამოწვევას გამოეხმაურეთ. მიდიხართ აქციაზე?**

– ცოტა გადაადგილება მიჭირს, მაგრამ მყავს დიდი სამეგობრო და არაჩვეულებრივი ხალხი, რომელთან ერთადაც საღამოობით ვსხდებით და გვაქვს „საუბრები წყაროსთან“. სწორედ ამ ადამიანების იმედი მაქვს, მათთან ერთად და კიდევ ძალიან ბევრ იმ ადამიანთან ერთად, ვისაც სამშობლოზე გული შესტკივა, მეც გამოვალ, რათა, როგორც უცნობმა და ზაზა პაპუაშვილმა დააანონსეს, მსოფლიოს დავანახოთ, სად დგას ხალხი საქართველოში! ეს საჭიროა, რომ სამოქალაქო დაპირისპირება არ მოხდეს. საკმარისია, ოდნავ რაღაც „გაჩხაკუნდეს“ საქართველოში და დაპირისპირება მოხდება, საქართველო გადაიქცევა ავღანეთად, დამიჯერეთ, დავიღუპებით!

ამიტომ, ჭკუით, ქართველებო, ჭკუას მოუხმეთ! უფალმა არ იცის, რა მოხდება და კიდევ არ გაამწარონ ადამიანები. მოტირალი და დარდით დამძიმებული მეც ვეყოფი ამ ქვეყანას!

**ნონა ქარქაშაძე**

## პ-რეზიდენტი



**მაია ნიკოლეიშვილი**
**სასამართლო სამედიცინო ექსპერტი:**

**სალომე ზურაბიშვილმა საკუთარი მოხსენებით ხელისუფლებასთან და ამომრჩეველთან მისასვლელი ყველა ხიდი დაწვა. პირველივე წინადადებიდან დისტანცირდა ხელისუფლებისგან და მას რევიზორივით ელაპარაკებოდა — „მე“ და „თქვენ“. 31 მარტს პარლამენტის ტრიბუნასთან საქართველოს მტერი იდგა! იგი მხოლოდ ხელისუფლებას კი არა, საზოგადოების უდიდეს ნაწილს დაშორდა. აშკარაა, ვის დავალებასაც ასრულებს ეს მართლა „თუთხმეტა“! სანამ შევარდნაძესავით გვეტყვის: დემოკრატია საფრთხეშია, მე გადავდექიო, იმპიჩმენტია განსახორციელებელი! სხვა შემთხვევაში, ნაგიჟარ ქალებთან ერთად, ოთხასოიან პარტიას გვერდით დაიყენებს და, შესაძლოა, ჯარსაც სამხედრო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდოს, როგორც მთავარსარდალმა! აგერ, თევზაძეც გვერდით ჰყავს და შეიძლება, პროვოკაცია მოაწყოს. თუ დააკვირდით, არაერთხელ ახსენა: მთავარსარდალი ვარ და გარკვეული პასუხისმგებლობა მაქვსო. აშკარაა, დავალებას ასრულებს. რაც ოპოზიციამ ვერ მოახერხა, ახლა იგივეს გაკეთებას ეს აპირებს. ყველაფერი სცადეს და დარჩა მხოლოდ ერთი — სამხედრო გადატრიალება. ასე რომ, ფრთხილად ვიყოთ!**



# ერდოღანი: „ამ არჩევნებზე ამერიკას გაკვეთილი უნდა ვასწავლოთ!“

ელვისებურად იცვლება ვითარება სამყაროში. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ პოლიტიკურ ჰორიზონტზე დადებითი მოვლენები ჯერაც არ შეინიშნება. მესამე მსოფლიო ომი, ფაქტობრივად, უკვე მიმდინარეობს, რასაც რომის პაპიც აღიარებს. მართალია, ცალკეული ქვეყნების მეთაურები ამას უარყოფენ, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით. ბრძოლები, ჯერჯერობით, უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, ფრონტის არეალის გაზრდის საფრთხე მატულობს. ზოგიერთი პოლონელი პოლიტიკოსი მზად არის, ჩაერთოს რუსეთთან ომში. პოლონელები არ გამორიცხავენ ბელარუსზე შეტევას, რისთვისაც უკრაინისა და ბელარუსის საზღვრებთან ჯარების რაოდენობა გაზარდეს.

ბოლო ერთი თვეა, სამყარო ახალი საფრთხის წინაშე დადგა.



ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრის გადაწყვეტილებას, უკრაინას ურანით გამდიდრებული ჭურვები მიაწოდონ, რუსეთმა მკვეთრად უპასუხა. პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ ბელარუსში განათავსებს (და არ გადასცემს) სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებას. ანუ, შორ მანძილზე მოქმედ რაკეტებს ბირთვული ქობინებით. ფაქტობრივად, სამყარო რეალურად დადგა ბირთვული ომის საშიშროების წინაშე. ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ მოსახლეობისადმი მიმართვაში განაცხადა: „..უკვე დავავალე თავდაცვის სამინისტროს, სასწრაფოდ აღადგინონ ყველა ის პლაცდარმი და შახტა, სადაც საბჭოთა დროს განთავსებული იყო ბირთვული რაკეტები“. მისივე თქმით, „უკრაინაში ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს ბრძოლები, ვიდრე უარესი არ მომხდარა“.

საინტერესოა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციაში ერთი შეხედვით გულგრილად შეხვდნენ პუტინის გადაწყვეტილებას. პენტაგონშიც მშვიდად არიან, რუსეთი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღსო, აცხადებენ. რას ემყარება მათი ოპტიმიზმი, უცნობია.

გასულ კვირას რუსეთში მიიღეს საგარეო პოლიტიკის წარმართვის ახალი კონცეფცია. წინა ანალოგიური დოკუმენტი 2016 წელს არის მიღებული და დღეს მოძველებულად მიიჩნევენ. ახალ კონცეფციაში მთავარ მოწინააღმდეგედ, ფაქტობრივად, მტრად აშშ არის დასახელებული. დოკუმენტის მიხედვით, რუსეთი უფლებას იტოვებს, რომ მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში უპასუხონ. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ბირთვული იარაღის გარდა, რომლებიც ევროპის ექვს ქვეყანაშია განთავსებული, ბრიტანეთსა და საფრანგეთს საკუთარი მსგავსი შეიარაღება გააჩნიათ.

აშშ-ში უკვე მეორედ გაიმართა „სამიტი დემოკრატიისთვის“. იქ რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი კი ჩავიდა, მაგრამ ღონისძიება, ძირითადად, ვიდეოჩართვით მიმდინარეობდა. ქვეყნები, რომლებსაც პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კეთილი თვალით არ უყურებს, არ მიუწვევიათ. სამიტზე, ძირითადად, უკრაინაზე ისაუბრეს, რუსეთს მოუწოდეს, გაიყვანოს ჯარები: „როდესაც ვიცავთ ლგბტ თემის წარმომადგენლების უფლებებს, ეს ჩვენს სიძლიერეზე მეტყველებს“, — ამაყად განაცხადა ბაიდენმა „დემოკრატიისთვის სამიტზე“. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ტაივანის მმართველი ცაი, რამაც ჩინელების გაღიზიანება გამოიწვია. თეთრი სახლის ადმინისტრაციაში თავი იმართლეს, ცაი ცენტრალურ ამერიკაში იმყოფებოდა და ტრანზიტული შეჩერება განახორციელაო. ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა ამიტომაც განაცხადა, რომ „...ჩინეთი ბრძოლისთვის მზად არის“. მას მხედველობაში ტაივანის საკითხი ჰქონდა. აშშ ერთიან ჩინეთს აღიარებს, მაგრამ განაგრძობს ტაივანის შეიარაღებას. ცაი ცენტრალურ ამერიკაში, გვატემალაში იყო ჩასული, იგეგმებოდა, ასევე, ჰონდურასში ვიზიტი, მაგრამ ჩინელებმა ქვეყანასთან სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმეს. ამიტომ ცაის ვიზიტი გააუქმეს.

ბრიტანეთის მეფეს კარლ III-ს ტახტზე ასვლის შემდეგ პირველი ვიზიტის განხორციელება საფრანგეთში უნდოდა. თუმცა, იქ არსებული ვითარების გამო, საფრანგეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ სამი კვირის წინ სთხოვა ვიზიტის გადადება. ამიტომ კარლ III-ს გერმანიაში მოუწია ჩასვლამ, სადაც პრეზიდენტმა ვალტერ შტაინმაიერმა უმასპინძლა. ტრადიციულად, მონარქები თავს არიდებენ პოლიტიკაზე, სამხედრო საკითხებზე საუბარს. ამჯერად კარლ III-მ დაარღვია არსებული წესი და გერმანელებს მადლობა გადაუხადა უკრაინისთვის დახმარების გამო.

საპროტესტო გამოსვლები ევროპაში სულ უფრო მასშტაბური ხდება, რომლის მიზეზი სოციალური საკითხებია: ფასების მკვეთრი ზრდა, ინფლაცია. განსაკუთრებით მძიმე ვითარება საფრანგეთშია, სადაც გამოსვლები საპენსიო რეფორმების წინააღმდეგ დაიწყო. კანონის წინააღმდეგი არიან პარლამენტარებიც, ამიტომ პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საკონსტიტუციო უფლება გამოიყენა და კანონი პარლამენტში განხილვის გარეშე, ერთპიროვნულად მიიღო, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. საფრანგეთის ქალაქები ცეცხლის ალშია გახვეული. პარიზში ნაგვის გროვებია, სადაც უამრავი ვირთხაა. მოსახლეობა ფანჯრებს ვერ აღებს აუტანელი სუნის გამო. აქციებში თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელი მონაწილეობს. მომიტინგეების დასაშლელად მეხანძრეებიც ჩაიყვანეს პარიზში, მაგრამ ისინიც პროტესტანტებს შეუერთდნენ. უფრო მეტიც, პოლიციას ფიზიკურად დაუპირისპირდნენ და აჯობეს კიდეც.

ქვეყანაში არსებული ვითარება მაკრონს არ აინტერესებს. მოსახლეობისთვის მას ჯერაც არ მიუმართავს. გასულ კვირას წყალზე გადასახადის გაზრდის იდეაც კი წამოაყენა. მაკრონი ამ კვირაში ჩინეთში ვიზიტით მიემგზავრება ევროკავშირის ხელმძღვანელთან, ურსულა ფონ დერ ლაიენთან ერთად. მათი ჩასვლის მიზანია, ჩინეთი აიძულონ, უარი თქვას რუსეთთან თანამშრომლობაზე. როგორ ჩაივლის მათი „შერეული დუეტის“ სი ძინპინთან შეხვედრა, უცნობია. საინტერესოა, რომ ჩინეთში ვიზიტამდე ურსულა ფონ დერ ლაიენმა ჩინეთის მიმართ მკვეთრი განცხადება გააკეთა: „...როგორ მოიქცევა ჩინეთი უკრაინის მიმართ, ამაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი თანამშრომლობა“. გავიხსენოთ ევროკავშირის ხელმძღვანელების, შარლ მიშელისა და ურსულა ფონ დერ ლაიენის თურქეთში ვიზიტი. პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანთან შეხვერისას ქალბატონ ურსულას სკამი არ მიაწოდეს, ამით მის არაკომპეტენტურობაზე მიანიშნეს. მკვეთრი განცხადების შემდეგ როგორ შეხვდებიან მას ჩინელები, გამოჩნდება.

კვლავ მძიმე ვითარებაა უკრაინაში, სადაც ყოველდღიურად იზრდება მსხვერპლთა რაოდენობა. ცეცხლის შეწყვეტაზე არავინ ფიქრობს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ენტონი ბლინკენი დაზავების სასტიკი წინააღმდეგია, არგუმენტად რუსეთის გაძლიერებას ასახელებს. უკრაინის პრეზიდენტი ქალაქ ბახმუტისთვის ბრძოლას პოლიტიკურად უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე სტრატეგიულად. ექსპერტების შეფასებით, ზელენსკის ეშინია, რომ დამარცხების შემთხვევაში დახმარებას ველარ მიიღებს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის, ლოიდ ოსტინის თქმით, გაზაფხულზე ამინდები გაუმჯობესდება, რაც უკრაინას კონტრშეტევის შესაძლებლობას მისცემს. გაერთიანებული შტაბების მეთაურის, მარკ მილის განცხადებით, უკრაინის კონფლიქტი, შესაძლოა, დიდი ქვეყნების შეტაკებაში გადავიდეს. მისივე აზრით, საეჭვოა, წლეულს უკრაინელებმა ფრონტზე რაიმე წარმატებას მიაღწიონ.

ისრაელელი სამხედრო ექსპერტი და პოლიტოლოგი იაკობ კედმი აცხადებს: „...აშშ-ში მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატებს ნაკლებად აინტერესებთ. დღევანდელ ხელისუფლება ძალაუფლებას უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ხარჯზე ინარჩუნებს.“

1876 წლის შემდეგ აშშ-ში აღარ ყოფილა შემთხვევა, რომ მოქმედი ან ყოფილი პრეზიდენტი პასუხისგებაში მიეცათ. დღეს ნიუ-იორკში ისტორიული მოვლენა ხდება — ამერიკის 45-ე პრეზიდენტს ბრალდებებს (თითქმის 30) წაუყენებენ. მართალია, ეს ჯერ კიდევ ორი კვირის წინ უნდა მომხარიყო, მაგრამ გადადეს. ბრალდებამ აღაშფოთა და გააერთიანა რესპუბლიკური პარტია. ტრამპს და მის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, მაიკ პენს, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ პენსმა ბრალდების წაყენებას სირცხვილი უწოდა. ჟურნალისტი და ტელეწამყვანი ტაკერ კარლსენი ირონიულად აღნიშნავს: „...დღეს აშშ-ში გარეშე მტრებზე მეტს შინაურებზე ფიქრობენ... ტრამპი უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე „ისლამური სახელმწიფო“. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, რაც, უდავოდ, საინტერესო იქნება.

გასულ კვირას თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა აშშ გააკრიტიკა. თურქეთის პრეზიდენტის ამერიკის მიმართ განრისხება, სავარაუდოდ, აშშ-ის ელჩის, ჯეფ ფლეიკის ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატთან, ქემალ კილიჩდაროღლუსთან გასული კვირის ვიზიტთან არის დაკავშირებული.

„ამ არჩევნებზე (რომელიც 14 მაისს გაიმართება) ამერიკას გაკვეთილი უნდა ვასწავლოთ. ჯო ბაიდენი იქიდან საუბრობს. რას აკეთებს აქ ბაიდენის ელჩი? ის მიდის ბატონ ქემალთან. სირცხვილია! იპოვე საქმე. შენ ხარ ელჩი. აქ თქვენი თანამოსაუბრე არის პრეზიდენტი!” - განაცხადა ერდოღანმა.







საფრანგეთში მცხოვრებმა, ნაგვის სუნით შეწუხებულმა ქალმა სოცქსელში დაწერა: „მაკრონი ნაგავია!“ ის უმალ დააკავა პოლიციამ. ახლა მას, ფონანსურ ჯარიმასთან ერთად, შესაძლოა, პატიმრობაც მიუსაჯონ. ასეთია იქაური დემოკრატია. ჩვენთან, საქართველოში კი სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერების მსროლელის დაკავება არ შეიძლება, რადგან, თურმე, ისიც დემოკრატიისთვის მებრძოლი ყოფილა.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# უკრაინას მჩხავანა კატასავით „ჩამოუკიდეს“ რუსეთის სიძულვილი

**კიევ-პეჩორის ლავრიდან მართლმადიდებელი ბერ-მონაზვნები და სასულიერო პირები გამოყარეს...**

**დედამიწაზე ოთხი ადგილია, სადაც უფლის დედის — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განსაკუთრებული მადლი გადმოდის. ეს ადგილებია: ივერია, ათონის მთა, კიევის მღვიმევის მონასტერი და დივეევოს დედათა მონასტერი. ეს კურთხეული ადგილები ერთმანეთთან უხილავი, მტკიცე ჯაჭვითაა დაკავშირებული. კიევ-პეჩორის ლავრა მე-11 საუკუნეში დაარსდა, სადაც უდიდესი სიწმინდეები — წმინდანების უხრწნელი ნეშტები ინახება.**

**ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ისტორიკოსი, პოლიტოლოგი სოსო მანჯავიძე:**

### კიევ-პეჩორის მღვიმევის მონასტერი და ე.წ. ალტერნატიული ეკლესია

ზელენსკიმ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც კიევ-პეჩორის ლავრაში წირვა-ლოცვა უნდა შეჩერდეს, ხოლო მოქმედი სამონასტრო კომპლექსი „მუზეუმ-ნაკრძალად გადაიქცეს“. 29 მარტს ვადა ამოეწურა ათდღიან ულტიმატუმს, რომლის თანახმად, მსახურება უნდა შეაჩეროს და ლავრის ტერიტორია დატოვოს 200-ზე მეტმა სასულიერო პირმა და მართლმადიდებელმა მღვდელ-მონაზონმა. მათ ალტერნატიული შეთავაზებაც აქვთ: დატოვონ კანონიკური, მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის მიტროპოლია და შეუერთდნენ სქიზმატ (განხეთქილებაში მყოფ) ე.წ. „უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას“. ეს ბარბაროსობაა. როგორც აღვნიშნე, ივერიის მსგავსად, კიევ-პეჩორის ლავრაც ღვთისმშობლის წილხვედრია, ამიტომ უკრაინელი მართლმადიდებელი მრევლისა და სამღვდელოების მხარდაჭერა ჩვენი ვალია. უკრაინის ხელისუფლების ქმედება გეოპოლიტიკური ინტერესებითაა განპირობებული. სწორედ ამისთვის შექმნეს ე.წ. ალტერნატიული ეკლესია, რომელსაც თავისი წინამძღოლი ჰყავს. მას, თავის დროზე, პატრიარქობა სურდა, რაც არ გამოუვიდა, განაწყენდა და სწორედ შემდეგ ჩაუდგა სათავეში ამ განხეთქილებას. თუმცა, „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ წინამძღოლიც ვერ გახდა. რაც ხდება, გასაგებია — ეს ეკლესია მთლიანად ზელენსკის ხელისუფლებას ექვემდებარება, თავად ზელენსკის ხელისუფლება კი — აშშ-სა და ბრიტანეთს. ეს ჩვეულებრივი, პოლიტიკაა, რასაც რელიგიასთან არავითარი შეხება არ აქვს.

ის საოცარი „შაბაში“ და ბარბაროსობა, რაც კიევ-პეჩორის ლავრასთან დაკავშირებით ხდება, აშკარაა. აქვე გასათვალისწინებელია უკრაინის მიტროპოლიაც, რომელსაც ომთან დაკავშირებით გარკვეული პოზიცია ეკავა. ის ხშირად ბრალს რუსეთს სდებდა, თუმცა, გარკვეულწილად, ობიექტური პოზიციაც ეკავა — ამ ომში რუსეთის მომხრე არ იყო. ამიტომ, უკრაინის ხელისუფლების მიერ წაყენებული ბრალდება აბსოლუტურად აბსურდულია. საკითხი სულ სხვაგვარად დგას. კერძოდ, საქმე მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლასთან გვაქვს.

ზელენსკის ხელისუფლება მკვეთრად გამოხატული ათეისტებისა და არამართლმადიდებლებისგან შედგება. ისინი სულ სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები არიან. ძირითადად, ეს გახლავთ სექტა — ხაბადი. უკრაინის ხელისუფლებაში სწორედ ხაბადის წარმომადგენლები არიან. იქ ვერცერთ უკრაინელ მართლმადიდებელს ვერ ნახავთ. რაც შეეხება უკრაინის მოსახლეობას, მათი რელიგია არავის აინტერესებს. მორწმუნე მოსახლეობის 71% სწორედ ტრადიციული, უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის წევრები არიან. რაც ხდება, ეს არის პირდაპირ ეკლესიის, რწმენის მიმართ ბრძოლა ისევე, როგორც ამას ნეობოლშევიკები აკეთებდნენ. ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, განსაკუთრებით, ჩვენთან მყოფი ზოგიერთი ტვინგაცხელებული სუბიექტის გასაგონად, რომლებიც ანგლოსაქსურ ისტერიას ისე არიან აყოლილნი, რომ რუსეთის ჯინაზე კიდეც **გაელგებეტექიუპლუსდნენ.** ელემენტარულს ვერ ამჩნევენ: უკრაინას მჩხავანა კატასავით „ჩამოუკიდეს“ რუსეთის სიძულვილი. ესენიც ცხვრებივით მიშტერებიან ამ მჩხავანა კატას, ამასობაში კი მათ პარსავენ და კლავენ.



### „აგენტების რევოლუცია“

აი, ეს არის სამწუხარო რეალობა. რა ხდება ჩვენთან? — რუსეთი, რუსეთის ძახილში, „აგენტების რევოლუციას“ გვიანონსებენ და უნდათ, რომ ყველა, ვინც დედამ დაწყევლა, ხელისუფლებაში მოიყვანონ. დიახ, დიდი ხანია, მათი წარმოჩენის და წინ წამოწევის პოლიტიკა ხორციელდება, ვინც საზოგადოების თვალში ფსკერზე იმყოფება. აქვე, ვახსენოთ „გმირი“ ლაზარეს ისტორია. ხედავთ, რა საოცარი გზით შევდივართ ევროპაში? ყველა პარამეტრს ვაკმაყოფილებთ, არა, ვუსწრებთ კიდეც ევროპას — განა, სხვას ვის ჰყავს ასეთი ეროვნული „გმირი“: მამაზე ძალადობისთვის ნასამართლევი, ჰომოსექსუალი, „დემოკრატიული“ მოლოტოვის კოქტეილების უშიშარი მტყორცნელი და, რაც მთავარია, ვიოლა ფონ კრამონის თაყვანისცემის ობიექტი! უკვდავსაყოფად, ლაზარეს ძეგლიც ხომ არ დავუდგათ პარლამენტთან, სადაც ასახული იქნება ის მომენტი, როგორ ესვრის პოლიციელებს მოლოტოვის კოქტეილს. ამის შემხედვარე ევროპარლამენტარები მაშინვე კანდიდატის სტატუსს მოგვანიჭებენ. „გმირის“ დამცველებს კი ერთ რჩევას მივცემ: მაგალითი ფილმ „წუთისოფელიდან“ აიღონ, სადაც სოფიკო ჭიაურელი შვილის გადასარჩენად ტანსაცმელს იხდის და მდევარი ვეღარ შედის. ჰოდა, ლაზარე განა მათი შვილი არ არის?! მივიდნენ პარლამენტთან და გაიხადონ, მამაკაცებმა კი — გირჩულად ჩაიხადონ. კარგი იქნება, თუ კრამონიც გაიხდის, რაც ევროკავშირისკენ ჩვენ ლტოლვას გააძლიერებს. შეგვიძლია, „დემოკრატიული“ მოლოტოვის კოქტეილის დღეც დავაწესოთ. სხვათა შორის, აქვე აღვნიშნავ, რომ ვიოლა ფონ კრამონი აქ შემთხვევით არ ჩამოსულა. მას გარკვეული მისია აქვს — გამოიწვიოს იგივე მოვლენები, რაც უკრაინაში მოხდა, ანუ მაიდანი. ამ ქალს არც სქესი აქვს და საშინელებათა ფილმის პერსონაჟს ჰგავს.

### ჭინკების „შაბაში“

რა „შაბაშიც“ ლაზარეს მხარდასაჭერად მოაწყვეს, სიმბოლურად იგივეს აპირებენ 9 აპრილსაც. ერთხელ უკვე ხომ ვნახეთ 9 აპრილის მემორიალთან უხამსი ცეკვები!!! ეს პოლიტიკა აღარ არის, არამედ პირდაპირ ჭინკების „შაბაშია“, ვალპურგის ღამე. დიახ, ქართული მედიის და ლაივში მიტინგების ყურებისას შეგვიძლია, პირდაპირ დემონოლოგია შევისწავლოთ. საოცარი პერსონაჟები არიან. ეს ყველაფერი გოგოლის «Вий»-ს მაგონებს. მათ ვურჩევ, ზოგადად დემონოლოგიაში გაერკვნენ და მიხვდებიან: რა ხდება უკრაინაში, საქართველოსა და აშშ-ში, ზოგადად, მსოფლიოში, სადაც ახლა ბაიდენის ე.წ. „გაფართოებული ცისარტყელას“ ადმინისტრაციაა გამეფებული. ჯერ კიდევ 2016 წელს ვამბობდი: სჯობს ეგოცენტრიკმა ტრამპმა გაიმარჯვოს, ვიდრე აშკარა პათოლოგიური გადახრებით გამორჩეულმა კლინტონმა, რომელიც დედამიწაზე ყველაზე დესტრუქციულ ძალას წარმოადგენს. ვამბობდი: ტრამპი გლობალური ომის საფრთხეს გადაწევს-მეთქი. როცა ბაიდენი აირჩიეს, მაშინაც ვთქვი: ეს მსოფლიო ომის დაწყებას ნიშნავს-მეთქი. მესამე მსოფლიო ომს მოწინააღმდეგეების ხელში ბირთვული იარაღის არსებობა აკავებს. თუმცა ნგრევის მანიით იმდენად არიან შეპყრობილნი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. აჩრდილებთან მოლაპარაკე ბაიდენმა განაცხადა: ტრანსგენდერები ამერიკის სულს აყალიბებენო. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც უმრავლესობა მაინც კონსერვატორად რჩება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ჯოჯოხეთის მაშხალებს საშუალება არ უნდა მივცეთ, ქვეყანა ცეცხლის ალში გახვიონ, რისკენაც მთელი გულით მიისწრაფვიან. ისინი ნგრევის აგენტები — ადამიანი-იარაღები არიან. ეს უნდა გავაცნობიეროთ. ცდილობენ, მაქსიმალურად მოშალონ ის შემაკავებელი ფაქტორი, რასაც ჩვენი ეკლესია, განათლება, კულტურა, ზნეობა ჰქვია. როცა ამ ყველაფრის საძირკველი იშლება, ეს მეტაფიზიკური ნგრევის აგენტები, რომლებიც მსხვერპლს, სისხლს მიესწრაფვიან, სოციუმში დაუბრკოლებლად შემოდიან. მანამდე ბარიერი არსებობდა — ეს პერვერსიებით დაავადმყოფებული, შეპყრობილი, ჭკუიდან შეშლილი ადამიანები, სოციუმისგან იზოლირებულნი იყვნენ. დღეს რა ხდება? სწორედ ეს, აბსოლუტურად შეშლილი, გაშმაგებული პერვერტები წარმოდგენილნი არიან მედიაში, პოლიტიკურ არენაზე და თავიანთი კურატორების დავალებით დღის წესრიგს წარმართავენ. დღეს საქართველოში ეს არის წამყვანი, ყველაზე აქტიური ძალა, რომელიც, თუ არ შევაკავეთ, კატასტროფამდე მიგვიყვანს.

### „აცროფრენიიდან“ – „უკროფრენიამდე“

დააკვირდით ე.წ. ლიბერალურ მედიასაშუალებებს. ესენი ხომ შეშლილები არიან. შეხედეთ მათ თვალებს, ინტონაციას, აღგზნებადობის ხარისხს. მაგალითად, ინგა გრიგოლია მრავალი წელია, აღგზნებული გაჰკივის სხვადასხვა სატელევიზიო ეთერებიდან და სულ უფრო და უფრო ემსგავსება მეტაფიზიკურ ჯოჯოხეთურ არსებას, როგორიც გამოსახეს ფრანცისკო გოიამ და ჰიერონიმუს ბოსხმა. ყველა მათ პერსონაჟებს ემსგავსება. ანდა, თვალებჩაღამებულ ტაბლიაშვილს უსმინეთ, რა სიგიჟეებს ლაპარაკობს; ან მათი ექსპერტების სისულელეები რად ღირს; ან ის საგიჟეთი ავიღოთ, საქართველოს დროშები უკრაინის ფერებში რომ გადაღებეს; ან იმ ავადმყოფებს დააკვირდით, ერთმანეთს ასე რომ ესალმებოდნენ: „სლავა უკრაინი“, „გეროიამ სლა-



კიევ-პეჩორის ლავრასთან მისული მამაკაცი: „საჭიროა ყველანი სააშკარაოზე გამოვიყვანოთ და ყველას თვალწინ დავხვრიტოთ, არანაირი შინაპატიმრობა, ჩვენ არ ვართ ქრისტიანები, ჩვენ წარმართები ვართ“...



ვა“-ო. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ეს ხომ ახალი მოვლენა არ არის, ამას მე „უკროფრენია“ დავარქვი. ამას წინ კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა უძღვოდა, როგორიც კოვიდ-პანდემია იყო თავისი სიგიჟეებით, რაც გამოიხატა: „მუშკეტერებისადმი“ აპლოდისმენტებით; სულელური შეზღუდვებით; კომენდანტის საათით, საღამოს 9 საათის მერე ვირუსი რომ აქტიურდებოდა; ცოლ-ქმარი საკუთარ მანქანაში წინ, გვერდი-გვერდ რომ არ უნდა მჯდარიყვნენ; ამას მოჰყვა აცრილების ლატარეა, გამყრელიძის — ქართული კოვიდ-ბალეტისა და დრამის დიდოსტატის სოლო კონცერტები. ჯანდაცვის სამინისტროს, რომელიც დღეს დეპოშია, მივმართავ: ჭურიდან თავი ამოყონ, თავი ანებონ ადამიანების ცხვირში ჩხიკინს და კოვიდით მათ დაზაფვრას. კოვიდი აღარ არსებობს. კოვიდ-ტესტებიც დიდი აფიორა იყო, რასაც ისევ აგრძელებენ. ანუ, მოკლედ რომ ვთქვა, „უკროფრენიას“ წინ „აცროფრენია“ უძღვოდა. გახსოვთ, როგორ აბულინგებდა მედია ანტივაქსერებს, ისიც ხომ გვახსოვს, მადამ „პლეზიდანი“ „მწვანე პასპორტების“ პროპაგანდას რომ ეწეოდა. ამას წინ მოსამზადებელი პერიოდი უძღვოდა — სოცქსელების მეშვეობით ადამიანების უაზრო ქმედებებში ჩაბმის კამპანიები, ინფორმაციული ტრენდული ტალღები. გახსოვთ, ეს სიგიჟე რა გამოწვევით დაიწყო — თავზე წყლის გადასხმით. ამის მიზანი ის არის, რომ ადამიანები უაზრო, ალოგიკურ ბრძანებებს დაემორჩილონ და არც კი დაფიქრდნენ, რას აკეთებენ. მაგალითად, პუდელი მისთვის სრულიად არაბუნებრივ ბრძანებებს ემორჩილება. კაცობრიობასთანაც ასეთი სელექტორული მუშაობა მიმდინარეობს.

**— კიევ-პეჩორის ლავრიდან აღდგომის წინ ყველა ხატი გაიტანეს. ქართველები, 2020 წელს, თქვენ რომ მუშკეტერები ახსენეთ, მათი მოთხოვნით, აღდგომას ეკლესიაში არ შეგვიშვეს. ამ ორ მოვლენას შორის კავშირს თუ ხედავთ?**

— რა თქმა უნდა. აქ ერთი და იგივე ძალა მოქმედებს, ერთი სქემით მუშაობენ. ეს ბნელის ნათელთან ბრძოლაა. როცა ბნელი ძალები შეტევაზე გადმოდიან, ეს ნიშნავს, რომ ნათელი დასუსტებულია. როცა ამ ბარბაროსობაში, კიევ-პეჩორის ლავრაში განვითარებულ მოვლენებში პასუხისმგებელ პირს ვეძებთ, ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ, რა პოლიტიკას აწარმოებდა იგივე რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია პატრიარქ კირილის მეთაურობით. პასუხისმგებლობა მასზეა. უკრინის ხელისუფლება, უბრალოდ, ბნელი ძალის წარმომადგენელია და თავისას აკეთებს. რაც შეეხება „მუშკეტერებს“, გამოეთრიონ და მოინანიონ, უამრავი ადამიანი არასწორი მკურნალობით რომ დახოცეს. გახსოვთ, ტიკარაძემ რა ბრძანა? — ადამიანების დიდი ნაწილი ჰოსპიტალური ინფექციებით დაიღუპაო. ამაზე ვინმემ რამე თქვაა?! — არა, რადგან 24 თებერვალს გამოვიდა პუტინი, გამოაცხადა სპეცოპერაციის დაწყება და უეცრად პანდემიაც გაქრა. უცებ ადამიანები სხვა არხზე გადართეს — პულტს ხელი დააჭირეს და ადამიანებმაც ომის ყურება დაიწყეს. ახალ სიგიჟეში შევიდნენ — „უკროფრენიას“ „ზელენსკოფილიაც“ დაემატა. პუტინოიდები გააქტიურნენ. მათ პუტინი სტალინად მიაჩნიათ. სინამდვილეში, ადამიანების გასანადგურებლად სინქრონიზებული მუშაობა მიმდინარეობს. რუსეთში კლეპტოკრატიული რეჟიმია. აქ გაიძახიან: პუტინ ხუილო, პუტინ ხუილოო. ამ დროს ხუილო თვითონ არიან. როცა იგინები, იმაზე უარესი ხარ, ვისაც აგინებ. უბრალოდ თქვი, რომ პუტინი კლეპტოკრატიული რეჟიმის დამფუძნებელია და მორჩა.

**— ლიბერალიზმის სახელით ფაშიზმი მძვინვარებს? შესაძლოა, საქართველოშიც კიევ-პეჩორის ლავრის მოვლენები განმეორდეს... პრინციპში, რეპეტიცია უკვე ვიხილეთ 7-8 მარტს.**

— ეს „შაბაშია“. სახელმწიფოს ძალის ლეგიტიმური გამოყენების უფლება აქვს, რასაც კრამონები უკრძალავენ. თუ სახელმწიფო ლეგიტიმური ძალას ვერ გამოიყენებს, ჭინკების შაბაშის შემაკავებელი სხვა ფაქტორი აღარ არსებობს. რასთან გვაქვს საქმე? — ამას ევროკავშირიდან უფრო დიდი შაბაშები ხელმძღვანელობენ და ჩვენს სახელმწიფოს სწორედ ამ შაბაშის აკრძალვას უკრძალავენ. საზოგადოება დაუცველი რჩება, ამიტომ მან მასობრივი გამოსვლებით ამას წერტილი უნდა დაუსვას. ჩვენი თავდაჩარჩოებული მოქალაქეები უნდა გამოაფხიზლონ, რომლებიც ხან რომელი ჩარჩოდან ამოყოფენ თავს თავიანთი პროფილის სურათებიდან და ხან რომელი. მაგალითად: მე ავიცერი, შენ? ან კიდევ, I’m doctor Vaja, მე ვარ შარლ ებდო! Love is love! დარჩი სახლში! ენთუზიაზმით შეყოფენ ხოლმე თავს ახალ ჩარჩოში. არის ამ თავდაჩარჩოებაში რაღაც საოცარი კომიზმი, მაგრამ თვითონ ამ კომიზმს ვერ გრძნობენ. ეს ტრენდული ინფორმაციული ქარიშხლებია. ამ ქარიშხლებში მოყოლილები ხან დოქტორი ვაჟა-ები არიან, ხან სრულად აცრილები... ამ ინფორმაციული ჩეჩმიდან ამოყოფენ ხოლმე თავს და ყველაფერს აყროლებენ. აი, ეს სიტუაციაა. მათ საზოგადოებისგან ახსნა-განმარტება სჭირდებათ — სინამდვილეში რას ემსახურებიან. ეს საკმაოდ რთულია, რადგან ადამიანი უფრო მეტ აგრესიას ამჟღავნებს არა მათ მიმართ, ვინც მოატყუა, არამედ ვინც ეუბნება, რომ ის მოატყუეს. ამ ძალებს ადამიანების მანკიერებები შესწავლილი აქვთ, რასაც მშვენივრად იყენებენ. საშინელებაა, როცა უყურებ შენს მოქალაქეებს, რომლებიც სამშობლოს განადგურებისთვის ილვწიან და ჰგონიათ, რომ კარგ საქმეს აკეთებენ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში ქუდმოხდილი შედიოდა

← 3 გვ.

ში ისევ ის კადრები დარჩნენ, ვინც მაშინ საქმეს აფუჭებდა. მაგალითად, ვისი ხელმოწერითაც მივიღეთ 2007-2008 წლებში დოკუმენტი, რომ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ დაბრუნება საჭირო არ იყო. ზუსტად იგივე პასუხი მივიღეთ ამ ქალბატონისგან 2015 წელსაც. პოზიციაარ შეცვლილა, იგივე დარჩა. ქალბატონი ახლაც ამ უწყებაში მუშაობს.

**— ეს განათლების სისტემის არასწორი მართვის ბრალია? სისტემის მესვეურებმა განა არ იციან, რომ ასე მომავალი თაობების დეგრადაციას უწყობენ ხელს?**

— გამორიცხულია, არ იცოდნენ, რას აკეთებენ. ამ თემაზე „საერთო გაზეთში“



ავთანდილ არაბულმა და სხვებმაც არაერთი საყურადღებო წერილი დაბეჭდეს, მაგრამ ამაზე მავანს რეაქცია არ ჰქონია. გაურკვეველია, ეს ხალხი რა მიზნებს ემსახურება, ან რატომ დგამენ ჩვენთვის დამღუპველ ნაბიჯებს. არ მახსენდება, ჩვენს კრიტიკულ მოსაზრებებს შესაბამისი უწყებები გამოხმაურებოდნენ. ახლა „საერთო გაზეთიდან“ **მოვუწოდებ განათლების სამინისტროს, პარლამენტის განათლების კომიტეტს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ამ საკითხებზე რეაქცია გამოხატონ**. გავარკვიოთ, მე ვატყუებ საზოგადოებას და ისინი კარგად მუშაობენ, თუ ეს ყველაფერი პირიქითაა.

**— აშკარაა, რომ განათლების სისტემა ბავშვს სათანადო ცოდნას ვერ აძლევს. ნეოლიბერალები იმასაც კი გვეუბნებიან: აღზრდა პიროვნებაზე ძალადობააო...**

— აღზრდის პრობლემა სერიოზულად დგას. იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურებით, მე-19 საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა ეროვნული სკოლის შექმნას. ეროვნული განათლების საფუძვლად სწორედ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები იქცა. მის შექმნილ სისტემას დაეფუძნა ქართული უნივერსიტეტი და დღემდე ასე მოვედით. გოგებაშვილს ორი მთავარი პრინციპი ჰქონდა — ეროვნულობა და ზნეობრიობა. ქართული უნივერსიტეტი რომ გაიხსნა, პეტრე მელიქიშვილმა ხაზგასმით თქვა: ევროპაში რომ ჩავედი, ევროპელმა მეცნიერმა მკითხა: ქართველი რატომ სწავლობ ქიმიას და არა ქართულ ენასო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ **ჩვენი ვალდებულებაა, უპირველესად ყურადღება ეროვნულ ინტერესებს დავუთმოთ. დღეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სამწუხაროდ, ორივე პრინციპს ვუღალატეთ — ზნეობასაც და ეროვნულობასაც. აი, ეს არის უბედურება!**

**— ახალგაზრდობა ზნეობრივად გადაგვარდა. ამისკენ მათ დასავლეთი უბიძგებს. შედეგად გაუნათლებელი თაობა მივიღეთ. ეს ნათლად გამოჩნდა 7-8 მარტის აქციებზეც...**

— აქციებსაც რომ თავი დავანებოთ, დააკვირდით, როგორ იქცევიან სტუდენტები უნივერსიტეტში — ლექტორს კაბინეტში შეუვარდნენ და მისი გაგდება მოითხოვეს. უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი სივრცე უნდა იყოს. აქ ახალგაზრდობის ზნეობრივი სახე უნდა ჩანდეს. კი, ბატონო, სტუდენტს უფლება აქვს, რაღაც მოითხოვოს. ჩვენს თვალწინ გაიარა 70-იანი წლებიდან მოყოლებული, სტუდენტურმა მოძრაობებმა, სადაც წინა პლანზე სწორედ ახალგაზრდები იყვნენ. მაშინ მათ ლექტორები მოუწოდებდნენ, ზნეობრივი ჩარჩოდან არ გასულიყვნენ. ეს არის მთავარი. თორემ, უკეთესის მოთხოვნის უფლებაც აქვთ და ამისი ვალდებულებაც, მაგრამ ზნეობა არ უნდა დაკარგო! **ახლა რა ხდება? — სტუდენტი ლექტორს აუდიტორიაში უვარდება, მაგიდაზე დახტის, კივის, შეურაცხმყოფელ სიტყვებს გაჰყვირის, რაც ზნეობისგან ძალიან შორს დგას. მათ შევახსენებ, რომ უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც ივანე ჯავახიშვილი ქუდმოხდილი შედიოდა**. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ის ადგილი, სადაც ახალგაზრდები სწავლობენ, მათთვის ზნეობრივი სამყარო უნდა იყოს. თუ ამას დავკარგავთ, მაშინ აღარც ქართველობას აქვს ფასი. ამ სტუდენტებს მინდა ვკითხო: თუ იციან, რატომ გადადგა პეტრე მელიქიშვილი 1919 წელს რექტორობიდან? — იმიტომ, რომ მან და დეკანმა — ანდრია რაზმაძემ საბჭოს სხდომაზე იკამათეს, მათ შორის ხმამაღალი შელაპარაკება მოხდა. მელიქიშვილმა აღნიშნა, შეუფერებელი საქციელი ჩავიდინეო და თანამდებობა დატოვა. ასევე, გადადგომაზე განცხადება დაწერა დეკანმაც. აქედანაც კარგად ჩანს, რაოდენ ზნეობრივი სივრცე იყო უნივერსიტეტი. აი, ამ ტრადიციების უნივერსიტეტზეა საუბარი, სადაც, ვიმეორებ, ივანე ჯავახიშვილი ქუდმოხდილი შედიოდა. ეს დაკარგული სახე უნივერსიტეტს აუცილებლად უნდა აღვუდგინოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ხეთები – ალაპარაკებული ქვები

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერ-არქეოლოგთა კვლევის საგანი იყო ქვებსა და უზარმაზარ ლოდებზე ნატიფად ამოკვეთილი სცენები და წარწერები, რომლებიც ვერცერთ ენაზე ვერ იშიფრებოდა, თუმცა, ევროპელ მეცნიერებს ხელთ ჰქონდათ ფაქტი — ანატოლიის რიგითი მაცხოვრებლების მიერ მოპოვებული და მათგან შესყიდული არქეოლოგიური მასალები მანამდე უცნობი დიდი კულტურული ცივილიზაციის ნარჩენები იყო. ბოლოს და ბოლოს, როდესაც „ენა ამოიდგეს“, კოლხურის მონათესავე ენაზე ალაპარაკდნენ ქვები და გამოირკვა, რომ ათი უზარმაზარი ნაქალაქარი ქვების გროვა უზარმაზარ სტელებზე გაკეთებული წარწერებით, უცნობი ქვეყნის, ხეთას უძველესი და უძლიერესი კულტურის ნაშთი იყო. „ქვების გროვებზე“ პირდაპირ ჩანდა იგივე ხელწერა, რაც ჰქონდა როგორც ეგვიპტურ, ისე სამხრეთამერიკულ, კონკრეტულად, ტეოტიუაკანოს პირამიდებს.

„ძველი აღთქმა“ (6; 4) იკითხება, რომ ღვთისშვილებს უშვეს პირველი შვილები ადამის ქალიშვილებმა




და მათ ეწოდათ ადამი+ანი. კოლხურად „ანი“, ცის ღმერთის, ანიას შვილს ნიშნავს.

ბიბლიაში (11,15) წერია. „ქამის ძეებია: ქუში, მიცრაიმი, ფუტი და ქანაანი, ხოლო ქანაანმა შვა სიდონი და ხეთი“.

არსებობს ვერსია, რომ ქართველების დიდი წინაპარია იმ დროის ქურუმ-განმანათლებელი ნოე. მან შექმნა პირველი „სჯულის კანონი“, ანუ „ეფუთი“. ის ნოეს მიერ აშენებულ ქალაქ ფუთში დაიწერა, რომელიც მდინარე რიონის შესართავთან (დღევანდელი ფოთი) მდებარეობს. ამიტომაც ეწოდა ამ ნაშრომს „ეფუთი“.

როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა, ხეთის ქართველურ-კოლხურ ტომს შეუქმნია თვითმყოფადი კულტურა, ჩუქურთმებით დამშვენებული ათი დიდი ქალაქი 300-ზე მეტი სოფლით. ანატოლიის ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილი ასე გამოიყურება, ხეთების მშვენიერი დედაქალაქი ჰათუთაში (ხათუსა) და დანარჩენი ცხრა ქალაქი: ანქარა, ექიუ, იაზილიქაი, ალიშარა, ქარათეჰჰე, ზენჟირლი, მერსინი, ქარიჰემიში და ქადეში — თითოეული მათგანის სახელი კოლხური წარმომავლობისაა...

## „სამარცხვინო“ ქართული ენა

ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხების წინაპრები, დაახლოებით 15 000 წლის წინათ, შესაძლოა, ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობდნენ და ისინი თანამედროვე კავკასიის, უფრო კონკრეტულად კი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, — განაცხადეს ენის მკვლევარებმა. ეს ინფორმაცია სასწრაფოდ გაავრცელა „ფოქს ნიუსმა“, რომელიც თავის მხრივ, **“Proceedings of the National Academy of Sciences”**-ს დაეყრდნო.

„მკვლევარებმა მოახდინეს სიტყვების „დედა“ და „ადამიანი“ რეკონსტრუქცია, რომელთაც, სავარაუდოდ, უძველესი ადამიანები იყენებდნენ ისეთ რეგიონში, როგორიც არის კავკასია. კერძოდ, საქართველო და ეს სიტყვები ახლაც ისე ჟღერს, როგორც 15 000 წლის წინათ. ჩვენ შეგვიძლია, ენის კვალს 15 000 წლის წინანდელ პერიოდამდე გავყვეთ, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების ხანის დასასრულს შეესაბამება“, — განაცხადა მკვლევარმა მარკ პეგელიმ. მკვლევარები ამბობენ, რომ 23 სიტყვა, მათ შორის: „მე“, „შენ“, „დედა“, „კაცი“, ცეცხლი“, „ხელი“ და „მოსმენა“ ზუსტად ისე ჟღერს, როგორც 15 000 წლის წინათ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ადამიანები თავიანთ წინაპრებს რომ შეხვედროდნენ ქვის ხანიდან, ამ 23 სიტყვის გამოყენებით გარკვეულ დონეზე უეჭველად შეძლებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას...

## ბიგანტები

უძველესი კულტურული ცივილიზაციის საკითხებში პროფესორმა ანტონიო პინიომ კიდევ ერთხელ გაიმეორა ის თვალსაზრისი, რაც მოცემულია XIX საუკუნის ამერიკელი მეცნიერისა და მწერლის, იგნატიოს დონელის წიგნში „ლათინური ენის წარმოშობა“, მის საბაზისო წყაროს კი XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას ხელნაწერი წიგნი „მაიას ტომის ისტორია“ (დაცულია ესპანეთის სამეფოს ისტორიის წიგნთსაცავში) წარმოადგენს. იგი იყო პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იუკატანის ნახევარკუნძულზე, რომელმაც აღწერა წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, „მაიას ანბანი“ და ამ ანბანის წინარე სახე — კოლხური ანბანი. მისი ხელნაწერების შესწავლისა და მათზე დაყრდნობის შედეგად გაშიფრა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბურბომ ძველი ამერიკული წარწერები. პინიომ განაცხადა: „სამხრეთ ამერიკაში, ე.წ. ტეოტიუკანოს აბორიგენი ინდიელების თქმით, პირამიდები შენდებოდა ორ ეტაპად და ისინი ააშენეს ტანსრულმა, თეთრკანიანმა ზორბა გიგანტებმა.“



პერუში, როცა ესპანელებმა ინკების სამეფო აღმოაჩინეს, პედრო პისარომ იგივე ჩაწერა, რომ ანდების ტანმორჩილ და შავგვრემან ინდიელებს შორის ცხოვრობდა ინკების გაბატონებული მოდგმა. ეს იყო ტანმაღალი და თვით ესპანელებზე უფრო თეთრი კანის მქონე ადამიანების ტომი, უკანასკნელი შთამომავლები თეთრკანიანი, წვერიანი ადამიანებისა, ვირაკოჩა ღმერთების შთამომავლები...

## ვინ იყვნენ (არიან) გიგანტები?

ვინ იყვნენ პირამიდების აშშენებელი თეთრკანიანი გიგანტები? მეცნიერები ჯერჯერობით ამაოდ ცდილობენ, დაადგინონ, ვის ეკუთვნის სხვადასხვა დროს ნაპოვნი გიგანტი ადამიანის ჩონჩხები და რას წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ აქა-იქ თვალმოკრული „თოვლის კაცები“; გაათანამედროვონ თქმულებები მათზე, მით უმეტეს, რომ კაცობრიობისთვის ფასეული წიგნები ადასტურებენ გარკვეულ ეტაპებზე ადამიანებისა და გიგანტების თანაცხოვრებას.

ძველი აღთქმა თავი (6-1). როდესაც ადამიანებმა გამრავლება იწყეს, იწყეს დედამიწაზე და ასულები შეეძინათ; 2. დაინახეს ღვთისშვილებმა, რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები და მოჰყავდათ ცოლად, ვისაც ვინ მოეწონებოდა; 4. ბუმბერაზები იყვნენ იმ ხანებში ქვეყნად და მას მერეც, როცა ღვთისშვილები შედიოდნენ ადამის ასულებთან, რომელნიც უშობდნენ მათ. ძლიერები იყვნენ ისინი. ძველთაგანვე სახელოვანი ხალხი...“

შედარებით ვრცლად არის მოთხრობილი მათ შესახებ „ყურანში“, სადაც წარღვნის ამსახველ ნაწილში ირკვევა, რომ ნოეს მიერ კიდობნის აგების დაწყება მასხრად აუგდიათ გიგანტებს, ჩვენ ფეხის ტერფით შეგვიძლია გადავკეტოთ მდინარის კალაპოტი, ისეთი დიდები და ძლიერები ვართო. თუმცა, წარღვნას კიდობნის გარეთ დარჩენილი ყველა არსება, მათ შორის, გოლიათებიც, გარდა ერთისა, შეუწირავს...

სწორედ ამ ერთ გადარჩენილზე მოგვითხრობენ „ბაბილონის წიგნები“: ნოემ წარღვნისგან გადაარჩინა გიგანტი „ოგი“, რომელიც კიდობანში ჰყავდა ჩამწყვდეული გისოსებსმიღმა და იქიდან აწვდიდა საკვებს. შემდგომ ოგი ადამის ასულებთან ამყარებს კონტაქტს და კვლავ გამრავლდა მისი „გვარი“ დედამიწაზე. მისი შთამომავლობა წინაპარივით გიგანტი აღარ იყო, თუმცა ადამიანებთან შედარებით მაინც გიგანტურად გამოიყურებოდნენ.

გიგანტებმა სამკვიდროდ პალესტინა აირჩიეს. მოსეს მიერ ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის შემდეგ, როდესაც პალესტინას მიადგნენ, იმ მხარეში მოსეს გაგზავნილმა მზვერავებმა ამბავი მიუტანეს: „ვიხილეთ ჩვენ ისპალინები (გიგანტები), ისპალინელთა შთამომავალნი. ჩვენ კალიები გვეგონა თავი და სწორედ კალიებივით გამოვიყურებოდით ჩვენც მათ თვალებში.“ მოკლედ რომ ვთქვათ, გოლიათები ადამიანებისთვის კარგად ნაცნობი „ვიღაცები“ იყვნენ.

საჰარის უდაბნოში აღმოჩენილია ქვის ხანის 200-მდე სამარხი, სადაც ჩონჩხის ასაკი დაახლოებით 5000 წელია და ყველა მათგანის სიმაღლე 3 მეტრს აჭარბებს; თურქეთში ნაპოვნი გაქვავებული ადამიანის ჩონჩხის ფეხის ძვალი 120 სმ-ია, ანუ იმ ადამიანის სიმაღლე 5 მეტრი იქნებოდა; ჩინეთში ნაპოვნია 3-3,5 მეტრი სიმაღლის ადამიანების მრავალი ჩონჩხი; ავსტრალიაში ნაპოვნია 67 სმ სიმაღლისა და 42 სმ სიგანის ადამიანის კბილი, რაც ნიშნავს, რომ მისი პატრონი 7 მეტრი სიმაღლის იქნებოდა და 350 კგ-ს აიწონიდა. ასეთი აღმოჩენებია ტუნისში, მაროკოშიც და ა.შ. 2007 წელს ნამდვილი სენსაცია იყო, როდესაც გობის უდაბნოში ბრიტანელმა არქეოლეგებმა 15-მეტრიანი ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინეს, რომელიც 45 მლნ წლისაა...

## ქართველი გოლიათები

გოლიათების კვალი არაერთ ქართულ ლეგენდასა და ზღაპარშია. მაგალითად, ამბრი, მითიური გმირი, რომელსაც ქართული მეცნიერება მიწათმოქმედების კულტს უკავშირებს. ჯერ კიდევ ცოცხალი ამბრი დასამარხად 123 წყვილი ხარ-კამეჩით მიჰყავდათ, როცა ურმიდან ფეხი ჩამოუვარდა და გუთანივით ხნავდა მიწას. ამირანი შეეცადა, ამბრის ფეხი აეწია და ისევ ურემზე შემოედო, მაგრამ ვერ დაძრა.

ზეპირსიტყვიერი გადმოცემით, ერთხელ ამბრი და პირქუში ერთმანეთს დასჭიდებიან. ამბრის კავკასიონიდან დიდი ლოდი მოუგლეჯია და უსვრია, მაგრამ პირქუშს აუცილებია და ლოდი სოფელს დასცემია, რის შემდეგაც, „მორიგე ღმერთის“ მიერ ერთმანეთთან ჭიდილი აეკრძალათ, რაც ხშირად ხდებოდა ღვთისშვილებს, იგივე ღმერთკაცებს შორისო.

ვარაუდობენ, რომ სახეშეცვლილად არის ინფორმაცია გადმოცემული და გზავნილი იმაზე მიანიშნებს, რომ იმ დროის ქართველებმა მიწის დამუშავების ტექნიკა შეისწავლეს და საიდუმლო ცოდნა იმ გოლიათებისგან შეიძინეს, რომლებიც მათ გვერდით ცხოვრობდნენ და შედარებით დიდ ცოდნას ფლობდნენ.

„შესაქმესაი“ პირდაპირ ამბობს, რომ ადამ და ევას შერწყმამდე უკვე იყვნენ ვიღაცები, „თესლის მთესველები“...

ამბრი კიდევ ერთ, მსოფლიოში ცნობილი მითის პერსონაჟს „ამირანს“ (პრომეთე) გვახსენებს, რომელიც ქალღმერთ დალისა და ადამიანის შვილია, ანუ დედა სხვა გენეტიკის მატარებელია. ადამიანებთან გაზრდილი ამირანიც გოლიათია, რომელიც დევებს, გველეშაპებს, ღმერთებს ებრძვის... ლეგენდიდან ჩანს, რომ ამირანს აღელვებდა ამბრის სიძლიერე და მასთან შებრძოლება უნდოდა. ამირანის, როგორც გმირის, საბრძოლო ატრიბუტიკაში მნიშვნელოვანია ხმალი, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ ძრავდა. სხვათა შორის, სიტყვა „გმირი“, სულხან-საბას განმარტებით, ნიშნავს ბუმბერაზ ადამიანს, რომელიც არაადამიანური ძალით გამოირჩევა.

„ქართული დევი“, გოლიათი არსება, იგივეა, რაც სხვა დანარჩენი გოლიათები, მაგრამ საინტერესო მიგნებაა ის, რომ კაცობრიობის განვითარების განთიადზე გოლიათები იყვნენ ადამიანების „მასწავლებლები“ მთელ რიგ საკითხებში, წარღვნის შემდეგ კი თითქოს გონებრივი დეგრადაცია განიცადეს, ადამიანებისთვის უარყოფითი სახეობა გახდა, მოძალადე და ბოროტი, ამავდროულად, ბრიყვიც...

**მაკა ჯაყელი**

(გაგრძელება იქნება)

# ჩემი უშურველი ლოცმანი



ჩვენ ერთი სოფლიდან ვართ — ოტობაიადან. მამაჩემი აღმერთებდა მას და მეც ეს განწყობა სიყრმიდანვე გადმომედო. მისგანვე ვიცი, მამა, სტუდენტობიდან მოყოლებული, ხელს უმართავდა თურმე ვიტალის, როგორც მთელი სოფელი ემახდა ვლადიმერს, ლადო ალფენიძეს. მახსოვს მისი პოეტური კრებული „მთები და სიჭაბუკე“, რომელსაც დიდმა გოგლამ დაულოცა გზა.

ვლადიმერი მწერალთაგან განსაკუთრებით ჰემინგუეის ეთაყვანებოდა. მოსწონდა ჩეხოვი, აკუტაგავა; მიხსნიდა, ყოველ სამ წინადადებაში შუათანა ზედმეტიაო. ეს მოგვიანებით კინემატოგრაფიდანაც შევისწავლე, მონტაჟის დროსაც ხომ იგივე ხდება: კარის სახელურს ეხება პერსონაჟი, გადაატრიალებს, შემდეგ კარი შიგნიდან იხურება, ხოლო სცენა, როგორ გადააბიჯა ზღურბლს პერსონაჟმა, ამოჭრილია.

იმ პერიოდში მიჭირდა, მწერლობაზე დაუნჯებული აზრი მქონოდა, მაგრამ ვიტალისთან შეხვედრები თანდათან მივსებდა ამ ვაკუუმს. კაფკას შვიდტომეულის იშვიათი გამოცემა, რომელსაც საჯარო ბიბლიოთეკაში მაშინ ვერ წაიკითხავდი, პირველად მასთან ვნახე... ის ბევრს მოგზაურობდა და მის პიჯაკს მუდამ მუზეუმების წიგნთსაცავების მტვერი ეფინა...

დალევა არ უყვარდა, ჩემგან განსხვავებით, მაგრამ ფულს ყოველთვის მჩუქნიდა. იტყოდა: ცხონებული მიშასგან ყურადღება არ მაკლდა სტუდენტობის წლებში არც მერე... გამომართვი, გამომართვიო.

ვიტალის ყველასგან გამორჩეულად პეტრე შარია აფასებდა. ის უკვე ღრმად მოხუცებული იყო, მე რომ გავიცანი, დამიანე გოგოხიასთან მუშაობის პერიოდში. Lლადოზე საუბარი დღეში ერთხელ მაინც უეჭველად ჩამოვარდებოდა.

— დიდი გაქანების პიროვნებააო, — იტყოდა პეტრე, — ხალასი ნიჭის პატრონი, მაგრამ, რად გინდა, ხელმწიფის ნავში ჯდომა ვის დაფასებია, მას რომ დაუფასდესო. ჩვენი ვლადიმერ ტარასოვიჩი მაინც გასაოცარს ახერხებს, ჟან პოლ სარტრსა და მართალკოჩ ჩამაგუაზე ფილოსოფიურ ნოველას წერს, ღრმად არის ჩახედული ეგზისტენციალიზმში: კიერკეგორი, ჰაიდეგერი, ბეკეტი, კაფკა, კამიუ, მაგრამ მისი ნააზრევი გამორჩეულია კოლხური ძირების ძიებით ეგვიპტურში, შუმერულში...

ვიტალის შემოქმედების სიღრმეებში უკვე საკმაოდ ვერკვეოდი, რადგანაც თხზულებათა უმეტესობა ხელნაწერებში მქონდა წაკითხული.

ჩემი ეპიკური პოემა „ოდოია“ ჩიხში რომ შევიდოდა, უეჭველად ვიტალის მივაკითხავდი კონსულტაციისთვის.

ტრადიციულად ცნობილია, რომ კოლხეთის მითიურ მეფეს აიეტს ერთი ძმა და ორი და ჰყავდა: პერსე, იგივე პერსევსი და პასიფეა-კირკე. კულუარული გადმოცემებით, მას ჰყოლია მეორე ძმა ფაეტონიც, რომელიც ადრეულ წლებში დაღუპულა, ჰელიოსის ცხენებს გაუტაციათ. მან მიაგნო ამ გადაკარგულ ძმას მზის ქალაქში, რომელიც ჰელიოსპოლში ვინმე ბენბენი აქციუსის სახელით ცხოვრობდა.

ოდის ფენომენიც, „სფინქსის ღიმილიდან“ ვიტალის დამსახურებაა. „სფინქსის ღიმილი“, ფაქტობრივად, ეხმიანება მისგანვე გაშიფრულ ზიკურატის სარდაფსამსხვერპლოს — „ქუგგალეს“, იგივე „შემოგევლეს“, თუმცა ოდისა და ოდინის იდენტურობის ჰიპოთეზა რომ წამოვწიე, წარმოუდგენლად აღფრთოვანდა:

— „ოდოია დრევნე იბერიისკაია მარსკაია პესნია“, — ვკითხულობთ ჟორჟ ამადუს რომანში „ანა მარია უსტავშაია ვაევატ“- მეთქი.

დიახ, ვლადიმერი იყო ჩემი დაუზარელი მასწავლებელი და, ამავდროულად, აურწყავ საუნჯეთა მპყრობელი უშურველი ლოცმანი. დიახ, წიგნები არ მაკლდა მისგან. იმ დროისთვის საჯარო ბიბლიოთეკაში „ოთხთავს“ ვერ გამოიწერდი, ვერ გამოიწერდი კაფკას, სარტრს, შოპენჰაუერს, იუნგს, ნიცშეს. მათი წიგნები დისიდენტურ ლიტერატურად იყო მიჩნეული და ეგრევე სუკ-ის სამიზნე ხდებოდი. გამოიწერდი რომელიმეს და მაშინვე დისიდენტების ამქარში გაგრევდნენ, ამასთან, შინ, სახლში, ვინ ოხერი გაგატანდა.



ერთხელ, სამოციან წლებში ვიტალი ჩვენი ოჯახის სტუმარი იყო. მამაჩემი გიტარაზე უკრავდა. ილხენდნენ. მე იმ საუბრებიდან თითქმის არაფერი შემომრჩენია, მხოლოდ ვიტალის წაკითხული ლექსები დღესაც მიჟრიალებს ყურში ლამაზად გამოცემული წიგნიდან „მთები და სიჭაბუკე“ (1963). იმ წუთიდან გულში ღრმად ჩავიბეჭდე, რომ მეც ჟურნალისტი უნდა გამოვსულიყავი. მართალია, ჩვენს ოჯახში სამედიცინო სამსახურის კულტი იყო, მაგრამ ყველაფერს ხაზი გადაუსვა ვლადიმერ ალფენიძის ლექსების მოციცქნულმა კრებულმა.

ვიტალის ძალიან უყვარდა ჩემი მეგრული ლექსები. განსაკუთრებით „ჭიჭა ხარჩილა“ მოსწონდა. თარგმანიც კვალში მიჰყვება ორიგინალს, მაგრამ დედანი მაინც სხვააო, დაასკვნიდა.

— შენ რაბინდრანათ თაგორივით მაგრად გამოგდის მეგრულადო, — მეტყოდა, — ის სანსკრიტულად, ჰინდის ენაზე კი არ წერდა ლექსებს, არამედ ბენგალიურად, აკვნის ენაზე; სანსკრიტულად ბელეტრისტულ წიგნებს წერდა, მაგრამ მისი პოემა „გიტანჯალი“ შედევრია, თაგორი ამას ჰინდის ენაზე ვერაფრით ვერ შექმნიდაო.

სატელევიზიო გადაცემისთვის ვიყავი ოტობაიაში ჩასული, წელშიგამწყვეტი მებოსტნეობა რომ გადაგვეშენებინა ერთობლივი ძალით; საერთო კრების წინადღეს ცილოურებთან ჩამოსტუმრებულ ვიტალის ოტობაიის ეტიმოლოგიაზე ჩამოვუგდე საუბარი:

— მაინც, ვინ იყო ოტობაია, ტარასიევიჩ, მწყემსი მზეჭაბუკი თუ გიორგი მეფის მხატვარი-მეთქი.

— ოტობაიას განსულიერება პირველად კონსტანტინე ბატონისგან მოდის. იქ, სვეტიცხოვლის მშენებლობისას, ხარაჩოებიდან ჩამოვარდება მეფის მხატვარი ოტობაია. მე კი გაცილებით ღრმააზროვან მითოლოგიურ წიაღში გადავისვრი მას, კოლხების წარმართულ ღვთაებას, ჟინი ანთარს დავაჭიდებ, რომ განცხადდეს, თუ ვინ არის ამ ორში უფრო ძლიერი. ჯერ ზღვას დააშოშმინებს ორივე, მერე ენგურს და მწყემსი მზეჭაბუკის ტოლძალოვნებით განრისხებული ჟინი ანთარი ჯადოსნურ ჩანგთან თუ ოქროსმატყლიან ცხვრის ფარასთან ერთად შავ ზღვაში დააქვესკნელებს.

— მე ამის შესახებ დაწვრილებით ვიცი, ტარასოვიჩ, მაგრამ მინდა, მიწიერ გენიად ვაქციო იგი.

— აქციე, მერე, ვინ გიშლის, — მომაჩერდა იშვიათი ღიმილით.

— ოტობაიელების მერიდება, ტარასიევიჩ, მინდა, ეს სახელი ფსევდონიმად ავირჩიო-მეთქი.

— კნუტმა გააკეთა ასე, ჰამსუნმაო, — იტყვის ოდნავი დაყოვნების მერე. — ჰო, ჰამსუნდი ერქვა მის სოფელს. გადი ოტობაიელებში, ჩაეკითხე, იმათი დასტურ-ლამალის გარეშე ნუ იზამ ამ საქმესო, — ასე დამაკვალიანა.

სოფლის კრება მომდევნო დღეს იყო დანიშნული. ხალხი კანტორაში ვერ დაეტია, ვენერა ჭანიას კლუბში გადავინაცვლეთ. სახუმარო ამბავია, ოტობაიის ბედ-იღბალი წყდება: იქნებ, რამენაირად გადავიგდოთ თავიდან არაქათის გამომცლელი მებოსტნეობა. ამისთანა კონტექსტში ჩამოვაგდებ სიტყვას ჩემს ფსევდონიმზე.

— გაუმარჯოს ოტობაიას, ოტობაიას გაუმარჯოსო, — კვერს დაუკრავენ ერთხმად ჩემ ნათელმირონობას.

ვაუწყებ ამის შესახებ ვიტალის და „გაჩარხულა საქმეო“, ბრძანებს — აწი ეპიკური პოემის გასრულებაა საჭირო, „ოდოია“ რომ დაგირქმევია, ტროაში თავმოყრილი ერთიანი კავკასიის საჩვენებლადო.

— ჰო, ბერძნების საპირწონედმეთქი, — დავუდასტურებ.

— შენ მაგრად გაქვს ხელი ჩავლებული ჰელიდების ინცესტისთვის. მახვილგონივრულად შემოგყავს ამ სივრცეში ნართების ასი შვილის დედა სათანეი გვაშა, რომელთან აფსაროსის შეუღლებით ჩნდება აიეტ-მეფის უკანონო შვილიშვილი ოდი. შენ დაუნდობლად ამხელ კოლხეთის გადაგვარების უმთავრეს მიზეზს — ფოლადის აღმოჩენას, იარაღით ვაჭრობას, რის გამო დედაკაცურად გვწყევლის კოლხებს კალიმაქე.

— გამოჩნდა ცნობები, რომ კოლხები ქვიშის მაგნიტიტის 1500-1600 გრადუსზე გამოდნობით იღებდნენ რკინას, რომლის ერთ კილოგრამი 10 კილოგრამი ოქრო ღირდა. ამან გადააგვარა, ხვნა-თესვა მიატოვა, ვენახს ზურგი შეაქცია.

— დიდებულია შენს პოემაში აფსაროსის რეინკარნაცია, რომლის მიუღწევლად უკვდავებას ვერაფრით მოიპოვებდა ოდი. შენ სკანდინავიური „უფროსი ედის“ გაუთვალისწინებლად უკვდავებას ვერაფრით აზიარებდი მას, რადგან სულდგმული ძეხორციელი ხვამლის უკვდავების ტბის ფსკერზე ვერაფრით ჩააღწევდა, საჭირო იყო წამიერი გარდაცვალება. ამ ყველაფერში მგლის ლეკვი ფენრირი წაგადგა, საძილე არტერიაზე კბილს გაჰკრავს ოდის და შენი გმირიც მოჭრილი ძელივით ჩაეშვება მის ფსკერში, რათა უკვდავების ბალახის შეხებით ხელმეორედ ჩაედგას სული. შენ ჩინებულად მოგაფიქრდა აიეტისა და მისი ძმის, აქციუსის ძვლების ერთ აბგაში ჩაყრა, რომელთაგან ხვამლის უკვდავების ტბაში აფსაროსი იბადება, ოღონდ, გაორებული პიროვნება და ოდიც მამის გაცოცხლებით აუტკივარ თავს აიტკივებს, მაგრამ, რაც მთავარზე მთავარია, ყველაფერი ორიგინალურად გადაგიხარშავს და მე ვერგილიუსის მისიას ტყუილუბრალოდ მწამებ, საამისო არაფერი გამიკეთებიაო.

ერთიანად ავილანძები, ცივი ოფლი დამასხამს მისი სულგრძელობისა და თავმდაბლობის გამო.

გურია შონიას მწვანედშეღებილ ბელეტაჟში გამართულ მეფურ სუფრაზე ხოტბას ვასხამ მომდევნო დღეს ჩვენი ვიტალის ყველასთვის უჩინარ დამსახურებებს: ატომური სადგურის გადაშენებაა ეს სამურზაყანოდან, ოტობაიის ხიდის მშენებლობა თუ საქართველოს 3000- წლოვანი სახელმწიფოებრიობის მკერდით გატანას „გულმავიწყი“ მსოფლიოს წინაშე.

— „სფინქსის ღიმილში“ ეგვიპტური „N“-ი გაცილებით ხანდაზმული შუმერული „ენ“ სუფიქსიაო, — მიმტკიცებს, — სადაც კი ეს „ენ“-ი გამოჩნდება სიტყვაში, იქ საქმე გვაქვს საკრალურობასთან; რომ ენ-გური თავისთავში გულისხმობს „სიტყვის გორას“, იგივე ზიქურატს, „სალოცავ ტაძარს“, „უფალი სიტყვის საკრებულოს“. მსგავსი სურათია „ენ“-ქი-სთან — „უფალი მიწისა“, „ენ“-ლილთან — „უფალი ჰაერისა“ და ა. შ. მესოპოტამიაში სამკუთხედების მეშვეობით შენდება დამწერლობა, კოლხეთში სამკუთხა ქვის დაფების — კირბების შემწეობით გადმოიცემა საღვთო და საზოგადო კანონები, რკინისა და ოქროს მოპოვების წესები ქიმიის შემოშველიებით, ხოლო ეგვიპტეში ეს სამკუთხედი ეზიარება სრულყოფილებას, ანუ შეიძენს მოცულობას, გახდება პირამიდა, რათა ფარაონების სული ცად აღავლინოს ტორნადოებით კოსმოსური ხომალდის მსგავსადო...

ნიუტონი იტყოდა: მე თუ შორს ვიხედებოდი, იმიტომ, რომ გოლიათების მხრებზე ვიდექიო.

რომ არ ყოფილიყო უნივერსალური გონების ვლადიმერ ალფენიძე, არ იქნებოდა მწერალი გური ოტობაია; ის შეიძლება, ყოფილიყო, ვთქვათ, ასევე დიდებული ოტობაიელის, ნეიროქირურგი ნაპოლეონ მესხიას მიმდევარი, დასტაქარი გულადი ფეტელავა, ან უბადლო ოტობაიელი ტენორის, ზურაბ სოტკილავას მინაბაძი ლოტბარი, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, სიტყვის ალქიმიას ჩაღრმავებული პიროვნება; რომ არ ყოფილიყო სულმნათი ვლადიმერ ალფენიძე, არ დაიბადებოდა ეპიკური პოემა „ოდოია“, რომელზეც მითხრა, ეს პოემა „შორს გაიტანს შენს სახელს ადრე თუ გვიან“-ო...

**გური ოტობაია,**
მწერალი

# მსოფლიოს საუკეთესო განათლების სისტემები

განათლება რომ ქვეყნის საფუძველთა საფუძველია, განათლებული ადამიანები კი საიმედო ქვეყნის მომავალს ქმნიან, დადასტურებული ფაქტია.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში რომ განათლების სისტემა სავალალო მდგომარეობაშია და განათლების მწვავე დეფიციტია, ამას ყველა ვხედავთ. სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს გაუნათლებელი ადამიანების სიმრავლემ, რა ადვილია მათი მართვა და მათით მანიპულირება, ამისი მოწმენი ამ დღეებში კიდევ ერთხელ გავხდით...

გთავაზობთ განათლების სისტემებების ჩამონათვალს, რომლებიც მოსწავლეების საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA – Programme for International Student Assessment) რეიტინგის მიხედვით, სხვა ქვეყნებისთვის (ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის გარდა) ორიენტირს წარმოადგენენ.



## სინგაპური

ბევრს გაუკვირდება, რომ პირველ ადგილს რეიტინგში სინგაპური იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოა, მსოფლიოში საუკეთესო სასკოლო განათლებას ბავშვები სწორედ აქ იღებენ.

სინგაპურის განათლების სისტემის საფუძველი მერიტოკრატიაა — როცა საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობას განსაზღვრავს მისი შესაძლებლობები და დამსახურებები და არა წარმომავლობა.



სინგაპურში სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებს სახელმწიფო ამტკიცებს. ყველა დაწყებითი სკოლა სახელმწიფო სკოლაა. აქ დიდი ყურადღება ექცევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ენების შესწავლას. ბევრი საგანი ინგლისურ ენაზე შეისწავლება. გარდა ამისა, ბავშვები სამი სახელმწიფო ენიდან ერთ-ერთს სწავლობენ, რომელიც მშობლიურად მიაჩნიათ (ჩინური, მალაიზიური, ტამილური).

სინგაპურში სასწავლო წელი ორ სემესტრად იყოფა. პირველი იანვარ-ივნისის, მეორე კი ივლის-დეკემბრის პერიოდს მოიცავს. სინგაპურის სასკოლო სისტემას აკრიტიკებენ არაკრეატიულობისა და სისასტიკის გამო. ბავშვის სწავლის დონეზე ბევრად არის დამოკიდებული, მოხვდება თუ არა ის უმაღლეს სასწავლებელში ან გაცვლით პროგრამებში.

სინგაპურის უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელები ფასიან განყოფილებებზე სწავლობენ. აქ შეიძლება კარგად შეისწავლო მენეჯმენტი, ბიზნესი, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. გარდა ამისა, სინგაპურში ბევრი ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტის ფილიალია, სადაც იმ ქვეყნების დიპლომის მიღება შეიძლება.

## ფინეთი

ფინური განათლების სისტემის შესახებ სტატიების წაკითხვის შემდეგ შეიძლება იფიქროთ, რომ ის იდეალურია. ფინელი მასწავლებლები ბავშვებს არ აიძულებენ საგნების დაზეპირებას. პირიქით, აქ ბავშვებს პიროვნებებად მიიჩნევენ, რომლებიც, ასაკის მიუხედავად, პატივისცემას იმსახურებენ. სწავლაში ჩამორჩენილებს ეხმარებიან, რათა საშუალო დონემდე მიაღწიონ. არადამაკმაყოფილებელ ნიშანს არავის უწერენ.

დიდი ყურადღება ექცევა უცხო ენების შესწავლას. ფინელები მესამე კლასიდან სწავლობენ ინგლისურ ენას, მეექვსე კლასიდან სავალდებულოა შვედური ენის შესწავლა. ბავშვებს შეუძლიათ ფაკულტატივის სახით აირჩიონ რუსული, ფრანგული, გერმანული ან ჩინური ენა.

2016 წლიდან ფინურ სკოლებში ტრადიციულ საგნების გააუქმეს. აქ არ ასწავლიან ლიტერატურას და მათემატიკას, მაგრამ ასწავლიან თემებს, რომელთა საფუძველზეც შეიძლება როგორც გეოგრაფიის, ასევე სოციოლოგიის შესწავლა.

ფინურ ლიცეუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ინგლისურ ენაზეა. ლიცეუმში სწავლა უფასოა, უმაღლეს სასწავლებლებში კი ისეთი სტიპენდიებია, რაც სწავლის ღირებულებას ბევრად აღემატება.

## გერმანია

გერმანიაში დაწყებით კლასებში ბავშვებს საშინაო დავალებები არ ეძლევათ. არ არსებობს სასკოლო ფორმა. შეფასებათა სისტემაში ექვსიანი ყველაზე დაბალი ნიშანია, ერთიანი კი — უმაღლესი შეფასება. განათლება გერმანიაში ყველასთვის აუცილებელია.

ჩააბარებს თუ არა ბავშვი უნივერსიტეტში, საშუალო სკოლაში გადასვლისას ირკვევა. მოსწავლეები, რომლებსაც დაბალი შედეგები აქვთ, **Hauptschule**-ში ხვდებიან, საშუალო მაჩვენებლების მქონენი **Realschule**-ში, ხოლო ყველაზე ძლიერი მოსწავლეები **Gymnasium**-ში. **Realschule**-დან შეიძლება გიმნაზიაში მოხვედრა, მაგრამ უნივერსიტეტში ჩაბარების შანსი მხოლოდ **Gymnasium**-ის კურსდამთავრებულებს აქვთ, რომლებიც 13 წელი სწავლობენ.

უცხოელების ბავშვებისთვის, ისევე, როგორც გერმანელებისთვის, სახელმწიფო სკოლებში სწავლა უფასოა. გერმანიის სკოლებში ნაგვის დახარისხებას, ველოსიპედის ტარებას და მეგობრობასაც კი აწავლიან, რადგან სოციალიზაციის საკითხებს აქ დიდი ყურადღება ექცევა.

გერმანიის უმაღლესი სასწავლებლებში სწავლა უფასოა, გარდა ბადენ-ვიურტემბერგის მიწისა, სადაც მხოლოდ უცხოელები იხდიან სწავლის საფასურს, სხვა რეგიონებში სავალდებულოა ადმინისტრაციული გადასახადის შეტანა (დაახლოებით 150-300 ევრო), რაშიც შედის სამგზავრო ბარათის ღირებულებაც.

## ნიდერლანდები

2013 წელს **UNICEFF**-მა ჰოლანდიელი ბავშვები მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ბავშვებად აღიარა. სასკოლო განათლება აქ საშუალო მოსწრების ბავშვებზეა ორიენტირებული.

სკოლაში ჰოლანდიელი პატარები ოთხი წლის ასაკიდან შედიან. ათ წლამდე ბავშვებს საშინაო დავალებას არ აძლევენ, 12 წლამდე კი არც გამოცდებს აბარებენ და არც ტესტებს. შედეგად, ბავშვებს სკოლაში სიარულის არ ეშინიათ. ჰოლანდიელები არც რეპეტიტორებს ქირაობენ, რადგან მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება, ბავშვს ძალით გააკეთებინო რამე.

12 წლისთვის ბავშვს სამიდან ერთ მიმართულებას ურჩევენ: დაბალს, საშუალოს ან რთულ დონეს. პირველი მიმართულების დასრულების შემდეგ ბავშვები იღებენ სამუშაო სპეციალობას, მეორეს დასრულების შემდეგ სკოლის მასწავლებლობა შეუძლიათ, მათ კი, ვინც მესამე, რთულ მიმართულებას დაასრულებს, შეუძლიათ აკადემიური კარიერა განაგრძონ. ამასთან, არავითარი სნობიზმი მუშის პროფესიების მიმართ ჰოლანდიაში არ არსებობს. ისინი უფრო ადვილად იწყობენ ცხოვრებას, ვიდრე ისინი, ვინც მეტს სწავლობს.

## დანია

განათლების შესახებ დანიურ კანონში წერია, რომ განათლების სისტემამ არამარტო საბაზო ცოდნა უნდა მისცეს ბავშვებს, არამედ პიროვნებებად ჩამოაყალიბოს ისინი. ამიტომ მასწავლებლები ბავშვებს ასწავლიან, რომ ცნობისმოყვარეობა და განვითარების სურვილი ტესტების პასუხებზე მნიშვნელოვანია. სასწავლო პროგრამა, როგორც ჰოლანდიურ სკოლებში, გათვლილია იმაზე, რომ ნებისმიერმა შეძლოს მისი დაძლევა.

დანიის სკოლებში დაზეპირება და სწავლის დაძალება მიუღებელია. მთავარია, ბავშვებმა ისწავლონ ინფორმაციის მოპოვება და საუბრებში აქტიურად ჩართვა. კრეატიულობა და ინიციატივა სახელმძღვანელოდან ნასწავლ პარაგრაფებზე მნიშვნელოვანია.

იმ ბავშვებისთვის, ვისაც ვერ გაურკვევია, რისი კეთება სურს, არსებობს სპეციალური სკოლები, სადაც 14-18 წლის მოზარდებს შეუძლიათ ერთი წლის განმავლობაში მიიღონ გადაწყვეტილება. დიდი ყურადღება ექცევა შემოქმედებას, სპორტს და ხელით შრომას.

ერთი შეხედვით, დანიურ სკოლებში ძალიან დაბალი მოთხოვნებია. მიუხედავად ამისა, დანია განათლების დონის მიხედვით პირველ სამეულში შედის. ასე რომ, ემოციური კეთილდღეობა სასწავლო დატვირთვაზე არანაკლებ როლს თამაშობს.



იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი მთავრობისთვის განათლება პრიორიტეტული სფერო გახდება და ერთობლივი ძალისხმევით სასიკეთო ცვლილებების მოწმენი გავხდებით. ახლო მომავალში კი ჩვენი განათლების სისტემა საუკეთესოთა რეიტინგში ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99